საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი. 2017 წ. №210 (8347), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

სიცრუისა და მოსახლეობის მოტყუების ხანა 2012 წელს დასრულდა!

სიცრუისა და მოსახლეობის მოტყუების ხანა ჩვენს ქვეყანაში დასრულდა 2012 წელს და ამ მონაპოვარს ჩვენ ძალიან საგულდაგულოდ გავუფრთხილდებით, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, **„საკრებულოს წინ გუშინდელ ვნებათაღელვასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა — ყველამ ვიხილეთ, არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მთელმა მოსახლეობამ, რომ ოპოზიციის რადიკალური ნაწილის მთავარი მიზანია, არჩევნების წინ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს რაიმე ხელს უშლის სტაბილურად და მშვიდობიანად არჩევნების ჩატარებას, თითქოს მათ აზრის გამოხატვაში ვინმე ხელს უშლის. ვფიქრობ, ეს სიცრუე ყველამ დაინახა. სამართალდამცველებმა იმოქმედეს კანონის სრული დაცვით და არ მისცეს პროვოკატორებს საშუალება, ჩაეშალათ საკრებულოს სხდომა. მინდა, ყველას ვუთხრა, რომ დღეს ჩვენი სახელმწიფო პატივს სცემს ადამიანის ღირსებას, მის ძირითად უფლებებს. სტაბილურობას, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ, ვერანაირი რისკის ქვეშ ვერ დავაყენებთ და, რა თქმა უნდა, ჩვენ ამის ძალა შეგვწევს. ათასგვარი სიცრუე მოვისმინეთ გუშინ, დაწყებული იქიდან, რომ სხდომა დახურეს და ამ დროს სხდომის ტრანსლაცია პირდაპირ ეთერში მიმდინარეობდა, დამთავრებული იმით, რომ ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიული და მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩვენი დედაქალაქისთვის მონათლონ დანაშაულად. ვფიქრობ, ეს სიცრუეც ყველამ დაინახა. დარწმუნებული ვარ, ამ ადამიანების მცდელობას არანაირი პერსპექტივა არა აქვს და ვერ ექნება. მინდა, მათაც კარგად იცოდნენ, რომ დასრულდა ის ხანა, როდესაც წარმატებულად ახერხებდნენ სიცრუით მოსახლეობის აზრის მართვას. სიცრუისა და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის ხანა ჩვენს ქვეყანაში დასრულდა 2012 წელს და ამ მონაპოვარს ჩვენ ძალიან საგულდაგულოდ გავუფრთხილდებით“,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პაატა ბერიძე: თბილისის ცენტრი არაბ შეიხს რომ აეშენებინა, დაკმაყოფილდებოდა ნაცების პატივმოყვარეობა?

③

ლადო ჭანტურია ევროსასამართლოს მოსამართლეა

— პირველი სიის ჩავარდნას იმ გაუგონარ პროცესებს ვუკავშირებ ქვეყნის შიგნით და სტრასბურგში, რომლებშიც ძალიან ბევრი ადამიანი მონაწილეობდა. ისინი გუშინაც კი, საპარლამენტო ასამბლეის კენჭისყრის პარალელურად მუშაობდნენ, მაგრამ საქართველოს ღირსეულმა კანდიდატებმა და ღირსეულთა შორის ღირსეულმა გუშინ აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო ევროპელი დეპუტატებისა,“ — განაცხადა თეა წულუკიანმა.

სტრასბურგში ევროსასამართლოს მოსამართლედ ლადო ჭანტურია აირჩიეს. საქართველოდან წარდგენილ სტრასბურგის მოსამართლეობის სამ კანდიდატს გუშინ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ კენჭი უყარა.

პრეზიდენტმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომა 13 ოქტომბერს დანიშნა

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომა 13 ოქტომბერს დანიშნა.

„საქართველოს კონსტიტუციის 61- ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა 2017 წლის 13 ოქტომბრის 11:00 საათიდან მოიწვია.

რიგგარეშე სხდომაზე განსახილველ საკითხებად განსაზღვრულია:

1 . „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე (№07-3/52, 01.05.2017) საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების (№07-1/13, 9.10.2017) განხილვა.

2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების განხილვა“, — აცხადებენ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

ზაურ ნაჭყებია:

ხალხი ყველაზე დიდი ძალაა და „ბოროტი მანქანების“ კი მის ნებას ემორჩილება

⑧

პეტრე დიდი - ბაგრატიონთა შთამომავალი?

ვინ იყვნენ პირველი ქართველი დასავლეთ-ევროპელები?

⑤

ახალი აღმოჩენის კარიბჭესთან

ალიკო ცინცაძე

⑥

როდიდან არსებობს ქართული ანბანი?!

სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალი ბათუმში

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალს (SEDM) საქართველო პირველად მასპინძლობს. **თავდაცვის მინისტრების შეხვედრა ქალაქ ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონში“ გაიმართა.** ღონისძიება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ გახსნა და ყურადღება მინისტერიალის მნიშვნელობაზე გაამახვილა.

„21-ე საუკუნის დასაწყისი ძლიერი ტურბულენტობითა და გეოპოლიტიკური მოწყვლადობით გამოირჩევა, რაც მთელ მსოფლიოში კონვენციური და არაკონვენციური გამოწვევების სახით გამოვლინდა. ეს გამოწვევები პირდაპირ გავლენას ახდენენ ჩვენზე, შავი ზღვისა და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონზე. სამხრეთ-აღმოსავლეთ თავდაცვის მინისტერიალის პლატფორმა თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევების ფონზე რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს“, — აღნიშნა ლევან იზორიამ სიტყვით გამოსვლისას.

მინისტრის შემდეგ მონაწილეებს SEDM-ის თავმჯდომარემ, მისმა აღმატებულება ელეფტერიოს ანგელოპულოსმა მიმართა. მინისტერიალის მიზანი რეგიონში უსაფრთხოებისა და მშვიდობის, ასევე ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის კონსოლიდაციაა. საქართველო SEDM-ის წევრი ქვეყანა 2015 წლის 10 სექტემბერს გახდა. ოფიციალურმა თბილისმა მინისტერიალის დამკვირვებლის სტატუსი 2006 წელს მიიღო, 2013 წელს კი ორგანიზაციას გაწევრიანების თხოვნით მიმართა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ თავდაცვის მინისტერიალს საფუძველი ჩაეყარა 1996 წლის სექტემბერს რეგიონის მინისტრების შეხვედრისას ტირანაში (ალბანეთი) ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობით. მინისტერიალის წევრები არიან ალბანეთი, ბულგარეთი, ხორვატია, მაკედონია, საბერძნეთი, იტალია, რუმინეთი, სლოვენია, თურქეთი, უკრაინა (2005წ), აშშ, ბოსნია-ჰერცეგოვინა (2007წ), სერბეთი (2010წ) და მონტენეგრო (2010წ). დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს მოლდოვა. SEDM-ის ფარგლებში რამდენიმე ინიციატივა მოქმედებს, მათ შორის სამხედრო ჰოსპიტლების სატელიტური ურთიერთკავშირის (SEDM) პროგრამა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სიმულაციური ქსელი (SEESIM) და ქალი ლიდერები თავდაცვასა და უსაფრთხოებაში (FLSD).

გერმანია დარჩება ჩვენს ერთ-ერთ ყველაზე ახლო პარტნიორად ევროპაში

საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მიხაელ როთის პატივსაცემად გამართულ მიღებას დაესწრო.

ღონისძიებას საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა ჰაიკე ფაიჩიმ უმასპინძლა. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიხაელ როტმა და საქართველოში გერმანიის ელჩმა.

„მინდა გერმანიის მთავრობისა და პარლამენტის სახელით დიდი მადლობა გადაგიხადოთ მჭიდრო მეგობრობისთვის. გარწმუნებთ, რომ გერმანია დარჩება თქვენს ერთ-ერთი ყველაზე ახლო პარტნიორად ევროპაში. მოდით ავაშენოთ მეტი ხიდი ჩვენს საზოგადოებებს შორის. განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობებს შორის, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთო ფასეულობებზე, დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობასა და კულტურაზე“ — აღნიშნა მიხაელ როტმა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოს ვიცე-პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრის მიხეილ ჯანელიძის ვიზიტზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჰესენის მიწაზე, რომელიც მიხაელ როტის მოწვევით განხორციელდა და ხალხთაშორისი და კულტურათაშორისი დიალოგის კარგი მაგალითია.

აღსანიშნავია, რომ მიხეილ ჯანელიძე ჰესენის მიწაზე ვიზიტის ფარგლებში ბად ჰერსფელდის საერთაშორისო ფესტივალს დაესწრო, რომელშიც ქართულმა ანსამბლმა „თუთარჩელამ“ მიიღო მონაწილეობა. გერმანიის სახელმწიფო მინისტრის საპატივცემულო საღამო მუსიკალურად სწორედ ანსამბლმა „თუთარჩელამ“ გააფორმა. მიღებას ესწრებოდნენ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები და დიპლომატიური კორპუსი.



ძლიერი მოკავშირე და უსაფრთხოების პარტნიორია, როგორც ეს ასახულია ევროკავშირის გლობალური უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის დოკუმენტში. ჩვენ ჩართულნი ვართ ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში და საკუთარი წვლილი შეგვაქვს ევროპასა და მთელ მსოფლიოში სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. იმედი გვაქვს, რომ უფრო მჭიდრო თანაქმედების გზით, ჩვენ შევძლებთ, უკეთესად დავინახოთ საკუთარი ადგილი ევროპის უსაფრთხოების საერთო არქიტექტურაში და უფრო ეფექტიანად შევიტანოთ წვლილი ერთობლივი ძალისხმევის განხორციელებაში. აღნიშნული ინიციატივა ადასტურებს, რომ ევროკავშირი დაინტერესებულია შემდგომშიც ითანამშრომლოს საქართველოსთან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე. სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხებზე ევროკავშირი-საქართველოს რეგულარული დიალოგი როგორც ამ ფორმატში, ისე ასოცირების საბჭოს ფარგლებში, უზრუნველყოფს უსაფრთხოების განზომილებაში უფრო მჭიდრო ინტეგრაციის შესაძლებლობას“, — განაცხადა მინისტრმა სხდომის გახსნისას.

საგარეო უწყების ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ევროკავშირის წარმომადგენელს საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის საქმეში ევროკავშირის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ევროკავშირის ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლების ინსტიტუტი, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა თავმჯდომარეობა, ჩართულობის პოლიტიკა აღიარებისა და ფინანსური დახმარების გარეშე, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სამშვიდობო პროცესში.

საქართველო რეგიონში ევროკავშირის ერთ-ერთი ძლიერი მოკავშირე და უსაფრთხოების პარტნიორია

საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველო-ევროკავშირს შორის უსაფრთხოების საკითხებზე პირველი სტრატეგიული დიალოგი გაიმართა.

დიალოგის პირველი სხდომა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ გახსნა:

„საქართველო რეგიონში ევროკავშირის ერთ-ერთი

ქართულ მხარეს ვალდებულებები შესრულებული აქვს

გრიგორი კარასინის განცხადებას, სადაც რუსი დიპლომატი საქართველოს მოუწოდებს, შეასრულოს 2011 წლის შეთანხმება ვაჭრობის მონიტორინგის შესახებ, სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი ეხმაურება და ამბობს, რომ მისთვის გაუგებარია ამ განცხადების კონტექსტი: **„ჩემთვის გაუგებარია ამ შინაარსის განცხადების კონტექსტი. ცალსახად ვადასტურებ, რომ ქართულ მხარეს ვალდებულებები აქვს შესრულებული და პროცესის დაჩქარებისთვის საჭიროა რუსული მხარის შემხვედრი ნაბიჯები, გაფორმებული მემორანდუმის შეთანხმების ფარგლებში და იმ პირობების დაცვით, რომელიც მხარეებს შორის 2011 წელს გაფორმდა“,** — აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

ევროპარლამენტის კომიტეტი მხარს უჭერს საქართველოს, უკრაინისა და მოლდავეთის დაახლოებას ევროკავშირთან

ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტი გამოდის მოწოდებით, გამკაცრდეს რუსეთისთვის დაწესებული სანქციები და შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც ევროკავშირთან დააახლოებს „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნებს — საქართველოს, მოლდავეთსა და უკრაინას.

კომიტეტმა 10 ოქტომბრის კენჭისყრაზე დაუჭირა მხარი ამ რეკომენდაციებს. 24 ნოემბერს ბრიუსელში „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სამიტია დაგეგმილი.

რეკომენდაციები არ არის სავალდებულო ძალის და ევროკავშირის სახელმწიფოებისა თუ მთავრობების ხელმძღვანელებს შეეძლებათ მათი უგულებელყოფა, როცა თავიანთ კოლეგებს შეხვდებიან პროგრამის ექვსი ქვეყნიდან. „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ მოიცავს ასევე სომხეთს, აზერბაიჯანსა და ბელარუსს. როგორც ჩვენი კორესპონდენტი ბრიუსელიდან იუწყება, ევროპის პარლამენტის პლენარული სხდომა სამიტამდე ცოტა ხნით ადრე მხარს დაუჭერს დოკუმენტს.

დოკუმენტში ევროკავშირის მიმართ გამოთქმულია მოწოდება, შემუშავდეს „მომხიბვლელი, გრძელვადიანი მოდელი „აღმოსავლეთის პარტნიორობა-პლუსი“ იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც უკვე გააფორმეს ასოცირების შეთანხმებები. ამ შეთანხმებებმა, შესაძლოა, საბოლოო ანგარიშით, შედეგად მოიტანოს გაწევრიანება „საბაჟო კავშირში, ენერგეტიკის კავშირში, დიგიტალურ კავშირსა და შენგენის ზონაში“.

ამავე დროს, დოკუმენტი გამოდის მოწოდებით, მყისიერად გატარდეს გარკვეული ზომები — მაგალითად, დაინერგოს დამატებითი ცალმხრივი სატარიფო შეღავათები, დაწესდეს კონკრეტული ვადები პარტნიორებსა და ევროკავშირს შორის როუმინგის ტარიფების აღმოსაფხვრელად და სხვა.

საქართველოსა და უკრაინას გაფორმებული აქვთ ასოცირების შეთანხმებები ევროკავშირთან.

● ევროკავშირის წევრი ქვეყნები ახლა მართავენ მოლაპარაკებას იმის შესახებ, აღიარონ თუ არა ამ სამი ქვეყნის „ევროპული მისწრაფებები“ სამიტის საბოლოო დეკლარაციაში და ამ გახანგრძლივებული მოლაპარაკების ფონზე ევროპის პარლამენტის ინიციატივა უფრო მეტ მხარდაჭერას ავლენს.

ევროპარლამენტის განცხადებით, ასოცირების შეთანხმებები არ წარმოადგენს ამ სამი ქვეყნის საბოლოო მიზანს ევროკავშირთან ურთიერთობაში.

სხვა ინიციატივები, რომლებსაც კომიტეტმა მხარი დაუჭირა, მოიცავს საგანგებო ფონდის შექმნას უკრაინისთვის, საქართველოსა და მოლდავეთისთვის. ფონდი კონცენტრაციას მოახდენს კერძო და საჯარო ინვესტიციებზე, ასევე შესაძლებლობაზე დონორთა კონფერენცია გაიმართოს უკრაინის დასახმარებლად, იმ ჰუმანიტარული საჭიროებების გათვალისწინებით, რომელიც აღმოსავლეთ რეგიონებში კონფლიქტმა და ყირიმის ანექსირებამ წარმოშვა.

www.radiotavisupleba.ge/

თბილისის ცენტრი არაბ შეიხს რომ აეშენებინა, დაკმაყოფილდებოდა ნაცების პატივმოყვარეობა?

თბილისის საკრებულოს შენობასთან ოპოზიციამ თაბორის მთაზე 4 433 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზაცია, ასევე პუშკინის სკვერის მიმდებარედ 1 900 კვ.მეტრ ფართობზე მიწისქვეშა სადგომის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები გააპროტესტა და ზედმეტად აგრესიული ფორმით — იყო ხმაური, მუშტიკრივი, პოლიციასთან შეხლა-შემოხლა, აქტივისტების დაკავება. განცხადებების მიხედვით, ძნელი გასარკვევია, რას აპროტესტებს ოპოზიცია — იმას, რომ რაღაც შენდება, თუ იმას, რომ მას აშენებს ბიძინა ივანიშვილის კომპანია — საკრებულოსთან მიმდინარე მოვლენების შეფასება ექსპერტ ვაჟა ბერიძეს ვთხოვეთ:

— სერიოზული თემაა, ამბობენ, რომ თბილისის ლანდშაფტს ცვლის, ისევე, როგორც მთაწმინდა რომ არ გაემწვანებინათ, დღეს ისეთივე ხრიოკი, კლდოვანი და მიუდგომელი იქნებოდა, როგორიც იყო მეფის რუსეთის, შემდეგ კი — საბჭოთა პერიოდში.

მე, როგორც მოქალაქეს, დისკომფორტს მიქმნის არა გამწვანებული მთაწმინდა, არამედ აღმოსავლეთის მხრიდან ხრიოკი მთები, რომელიც ვერ ვიტყვი, რომ მიმზიდველობას მატებს დედაქალაქს. თუ იქაც მოეწყობა გამწვანება, ნარიყალას ნამდვილად არ დაჩრდილავს.

პროექტი არ აზიანებს ისტორიულ ლანდშაფტს და უფრო მიმზიდველს გახდის ძველ თბილისს, განსაკუთრებით სოლოლაკს, სადაც უამრავი უნიკალური შენობაა, რომელსაც სასწრაფოდ, ყურაღება სჭირდება.

ამ არგუმენტებიდან გამომდინარე, არ შევეწინააღმდეგებოდი „პანორამა - თბილისის“ პროექტს, ისე, როგორც მთლიანობაში, იმ ობიექტების მშენებლობას, რასაც ეს პროექტი მოიცავს — როგორიცაა მაგალითად, ცეკავშირის ყოფილი შენობის ნაცვლად სასტუმროს აგება.

ამ ობიექტებს სჭირდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მათ შორის, პარკინგები. ვის საკუთრებაში იქნება ის 2000 კვადრატული მეტრი, რომელიც პუშკინის სკვერის ნაწილია, ჩემთვის არსებითი არ არის — მთავარია, რომ ქალაქს შეემატება პარკინგი. კონკრეტულად რა ადგილას უნდა აშენდეს, ეს უკვე არქიტექტორების და დიზაინერების სამსჯელო თემაა და არა, ჩვეულებრივი მოქალაქეების, რომლებსაც მხოლოდ პოლიტიკური ინტერესი გააჩნიათ.

თან თუ საუბარია იმაზე, რომ 2000 კვადრატული მეტრი მიწა ქალაქის ცენტრში ღირს 2,5 მილიონი დოლარი, ხოლო ინვესტიცია სულ 1 მილიონი იდება ამ პარკინგის ასაშენებლად, მაშინ წინააღმდეგობა იქმნება და თითქოს, წაგებული რჩება ქალაქი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ იქ აშენებული სასტუმრო არის „პანორამა-თბილისის“ პროექტის ნაწილი, რომელიც 680-მილიონდოლარიან ინვესტიციას გულისხმობს დედაქალაქში, მაშინ გამოდის, რომ 1 ლარად გასხვისებული მიწა არის არა ნაჩუქარი, არამედ ძალიან დიდი ინფრასტუქტურის ნაწილი, რომელიც ქალაქის იერსახესაც გააუმჯობესებს და ბევრ ადამიანსაც დაასაქმებს.

— გამოდის, რომ ასე ცალმხრივად მსჯელობაც არ არის სწორი, მაგრამ რა ქნას მოქალაქემ, რომელმაც არ იცის, ვის დაუჯეროს — როდესაც მას ეუბნებიან, რომ ეს ვერაგი ბიძინა მიწას გვართმევს და ობიექტებს აშენებს — სამშობლოსთვის „თავდადებული“ მამულიშვილები ამას აპროტესტებენ.

— ასეთი პროექტი ქალაქის ცენტრში რომელიმე არაბ შეიხს რომ განეხორციელებინა, ეს უფრო დაგვამშვიდებდა და ნაცების პატივმოყვარეობას დააკმაყოფილებდა?!

ბიძინა ივანიშვილს რუსეთში ნაშოვნი ფული საქართველოში კი არა, მალდივის კუნძულზე რომ დაეხარჯა უფრო კარგი იქნებოდა? თუმცა არც არაბული ინვესტიციების წინააღმდეგი არ ვარ და სულ არ მაწუხებს, რომ სასტუმრო „მეტეხი“ არაბი შეიხის საკუთრებაა.

— თუ, ყოფილი პრემიერი და დღევანდელი საქართველოს არაფორმალური მმართველი თბილისის ცენტრში რამეს აშენებს, რატომ არის ეს აღმაშფოთებელი?

ამ ობიექტებს სჭირდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მათ შორის, პარკინგები. ვის საკუთრებაში იქნება ის 2000 კვადრატული მეტრი, რომელიც პუშკინის სკვერის ნაწილია, ჩემთვის არსებითი არ არის — მთავარია, რომ ქალაქს შეემატება პარკინგი. კონკრეტულად რა ადგილას უნდა აშენდეს, ეს უკვე არქიტექტორების და დიზაინერების სამსჯელო თემაა და არა, ჩვეულებრივი მოქალაქეების, რომლებსაც მხოლოდ პოლიტიკური ინტერესი გააჩნიათ.



— თუმცა ამ სიტუაციას აქვს ახსნა — თვით „რუსთავი 2- ის“ მიერ დაკვეთილი გამოკითხვის მიხედვით, მმართველი პატიის კანდიდატს თბილისის მერის თანამდებობაზე აქვს უფრო მეტი პროცენტი, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ კანდიდატებს ერთად აღებულს. აქედან გამომდინარე, მათი შანსები არასერიოზულია მერის პოსტზე და ბუნებრივია, მარტივი ტაქტიკური ხერხებით ცდილობენ, დაძაბონ სიტუაცია ნებისმიერი მოტივით, მოაწყონ არა საპროტესტო აქცია, როგორსაც აწყობს იგივე, „პატრიოტთა ალიანსი“, რომელმაც შეკრიბა ხალხი, გაიარა რუსთაველზე, სადაც მათი წარმომადგენლები შიმშილობენ და დაიშალა ყოველგვარი დებოშის და ჯაჯგურის გარეშე.

— გასაგებია, რასაც ცდილობს „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ როგორ ავხსნათ საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება, სხდომა დახუროს მაშინ, როდესაც ასეთი სენსიტიური სიტუაციაა შექმნილი?

— როდესაც აშკარა ჩხუბი და ჯაჯგურია, იქ დეპუტატების უფლებებიც ილახება, რომ დაესწრნენ საკრებულოს სხდომას. მაგრამ დეპუტატების უფლებაა, დაესწრონ სხდომას და არა დებოშის მონაწილეებმა შეყარონ და შეიტანონ საკრებულოს შენობაში. ასეთი რამ ამ ქვეყანას არ წაადგება.

როდესაც დღევანდელი ხელისუფლება ოპოზიციაში იყო ჯერ კიდევ ბიძინას მოსვლამდე მათ ლიდერად, ფოთოლი არ ვარდებოდა რუსთაველზე და არც ჯაჯგური ყოფილა, თუმცა ერთი პერიოდი, გალიებიც კი დაიდგა. ასე რომ, სხვა ცივილიზებული მეთოდებიც არსებობს, რომ გააპროტესტონ, მაგრამ საკრებულოს სხდომის ჩაშლა დაუშვებელია.

ფაქტობრივად, ომის მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში, რომელსაც უამრავი პრობლემა აქვს ტერიტორიული მთლიანობიდან დაწყებული, დესტაბილიზაციის მოწყობის მცდელობები, ნებისმიერი მეთოდით და საშუალებით, ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, მიუღებელია.

ესაუბრა
ლალი ზირაქიშვილი

ბიძინა ივანიშვილს გუდიაშვილის ქუჩაც გადაეცა!

ბიძინა ივანიშვილისთვის პუშკინის სკვერის მიმდებარედ 1900 კვადრატული მეტრის გადაცემის შესახებ ახალი დეტალები ხდება ცნობილი. საკრებულოს ოპოზიციის ინფორმაციით, აღნიშნულ 1900 მ/კვ ფართობში შედის პუშკინის სკვერის მიმდებარედ გუდიაშვილის ქუჩის ნაწილიც, რაც დგინდება იმ საკადასტრო კოდით, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში. თუკი საკადასტრო კოდს ჩავწერთ საძიებო სისტემაში, აღმოჩნდება, რომ გასხვისებულ ტერიტორიას ეკუთვნის გუდიაშვილის ქუჩის ნაწილიც.

როგორც თბილისის მერიის ქონების მართვის საქალაქო სამსახურში აცხადებენ, ამ ტერიტორიის, ამ საზღვრების მიხედვით დარეგისტრირება 2007 წელს მოხდა ქონების მართვის საქალაქო სამსახურის მიერ საჯარო რეესტრში და სწორედ ამ საზღვრების მიხედვით გასხვისდა ის კერძო ინვესტორზე, რაც კანონდარღვევა არ არის. **„ტერიტორია, რომელიც გასხვისდა 1900 მ/კვ მიწის ნაკვეთი, მნიშვნელოვანია რომ ამ ქონების რეგისტრაცია ჯერ კიდევ 2007 წელს განხორციელდა მიზნობრივად და რეგისტრაციის მიზანს და საფუძველს წარმოადგენდა მისი მიწისქვეშა პარკირების შემდგომი განხორციელება. ამიტომ დღეს განხორციელებული ეს ნასყიდობა აბსოლუტურად არის გონივრული და ლოგიკური გაგრძელება ამ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში“,** — განაცხადა თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა კარლო ლაფერაძემ.



მთავრობის ადმინისტრაციაში აზიური ფაროსანა გამოჩნდა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში აზიური ფაროსანა გამოჩნდა. რამდნიმე დღის წინ კი დიდი რაოდენობით აზიური ფაროსანა ვაკის პარკში შენიშნეს.

კვლევის შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაქვეყნა დასკვნა, რომ დედაქალაქში გავრცელებული მწერი, ნამდვილად აზიური ფაროსანაა.

სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას რეკომენდაციებით მიმართავს:

„აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა მოსახლეობის ჩართულობის გარეშე შეუძლებელია!

გამოსაზამთრებლად სახლებში შესული ფაროსანას წინააღმდეგ დაუშვებელია ქიმიური წამლობა. ამიტომ მავნებლის გასანადგურებლად გამოიყენება მექანიკური მეთოდები, რომლებიც ეფექტიანად უზრუნველყოფს ფაროსანას განადგურებას საცხოვრებელ სახლებში.

ჯამში ჩაასხით საპნიანი წყალი ან ჭურჭლის სარეცხი ჟელე და ააქაფეთ. ჯამი დადგით ღამით და დაანათეთ მაგიდის სანათი ისე, რომ ოთახში სხვა განათება არ იყოს. დილით ჯამში უამრავ დამხრჩვალ ფაროსანას აღმოაჩენთ. არ დაიზაროთ ფაროსანასთან მექანიკური ბრძოლა!

გახსოვდეთ, ერთი ინდივიდის განადგურება ნიშნავს მომავალი სეზონისთვის 200-მდე ახალი მწერის მოსპობას“, — ნათქვამია სააგენტოს განცხადებაში.

მეუფე პეტრეს მეორე გაფრთხილება მისცეს

სინოდის სხდომა დასრულებულია, გავრცელებული ინფორმაციით, სინოდის გუშინდელ სხდომაზე ისევ მეუფე პეტრეს საკითხი განიხილებოდა. მას მეორე გაფრთხილება მისცეს. როგორც, სხდომის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, დამატებითი დეტალები სხდომის ოქმის შედგენის შემდეგ გახდება ცნობილი.

* * *

ჟყონდიდელმა მიტროპოლიტმა ეს ინფორმაცია ჟურნალისტებთან არ დაადასტურა. როგორც მეუფე პეტრემ განაცხადა, მას გაფრთხილება არ მიუღია.

„ვისაუბრეთ ყველა საკითხზე, დიახ, რა თქმა უნდა, ჩემზეც, თუმცა გაფრთხილება არ მიმიღია“, — განაცხადა მეუფე პეტრემ.

* * *

შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც „ციანიდის საქმეს“ შეისწავლის.

სინოდის სხდომაზე ე.წ. ციანიდის საქმეზე ისაუბრეს. კურიერის ინფორმაციით, ხმაურიან სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება,რომ შეიქმნება სპეციალური კომისია,რომელიც შეისწავლის „ციანიდის საქმეს“.

საქმის შესწავლა მოხდება საეკლესიო წესების მიხედვით, რაც არ ნიშნავს ალტერნატიულ გამოძიებას.

ახალი მტკვარი

მდინარე მტკვარი ვიწრო ზოლით მიედინება სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში: სათავე თურქეთში აქვს, მდინარის შუაწელი საქართველოს საზღვრებშია, ხოლო ბოლო უბანი, მდინარის შესართავი უბანი — აზერბაიჯანში.

საქართველოს დედაქალაქი თბილისი განთავსებულია მდინარის შუაწელში. განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ქალაქის საკრებულოს 2013 წლის დადგენილებით გაფართოებულ ტერიტორიაზე, დედაქალაქის იერსახე ახლებურადაა ჩამოყალიბებული. ქალაქი ინარჩუნებს ტერიტორიული განვითარების სიგრძით ფორმას მდინარის გასწვრივ. ტერიტორიის ამგვარმა ლანდშაფტმა განაპირობა მდინარისადმი წყალმეურნეობის საკითხების კომპლექსური დაინტერესება.

ამჟამად, თანამედროვე თბილისისთვის დამახასიათებელია სამი ბუნებრივი ტექნიკურ-ლანდშაფტური დომინანტი:

1. სამხრეთით მამადავითის მთა მასშტაბური ფუნიკულიორითა და დასასვენებელი პარკით;

2. ქალაქის სიგრძეზე მდინარე მტკვარზე აგებულია და მუშაობს ორი ჰიდროელექტროსადგური: დასავლეთ კიდეზე ზემო ავჭალის (ზაჰესი), ქალაქის ცენტრალურ მონაკვეთზე — ორთაჭალაჰესი (კალაპოტური, „ბურჯთაშინა“ ტიპის), ხოლო ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ფუნქციონირებს თეთრი ხევიჰესი, რომელიც აგებულია სამგორის სარწყავი სისტემის შემადგენლობაში და იკვებება მდინარე იორის წყლით.

3. ქალაქის ჩრდილოეთ კიდეზე ფუნქციონირებს ხელოვნური წყალსაცავი (ე.წ. „თბილისის ზღვა“), რომელიც საზრდოობს მდინარე ივრის წყლით და სიონის ტევად წყალსაცავს იყენებს ჩამონადენის რეგულირებისათვის.

წყალსაცავი („ზღვა“) აქტიურადაა გამოყენებული რეკრეაციული მიზნებისთვის, არეგულირებს ჰავას, ხელს უწყობს ჰავის გათანაბრებას, რათა კლიმატი ზამთარში ზედმეტად ცივი და ზაფხულში ძალზე ცხელი არ იყოს.

გასული საუკუნის 50-იან წლებში მდინარე მტკვარზე ორთაჭალაჰესის მშენებლობამ მნიშვნელოვნად შეუცვალა იერსახე თბილისის ცენტრალურ უბნებს. მდინარე მტკვარი მოექცა სანაპირო კედლებში, გაიყვანეს საავტომობილო მაგისტრალები, მოხდა სანტექნიკური (მათ შორის, საკანალიზაციო) სისტემების რეკონსტრუქცია, მდინარის მიმდებარე ტერიტორიები დაექვემდებარა ქალაქის განაშენიანების თანამედროვე მიდგომებს. ორთაჭალაჰესის ნაგებობათა გავლენა ვრცელდება ქალაქის ცენტრალურ რაიონებზე ორთაჭალიდან მდინარე ვერეს მტკვარში შერთვამდე. მდინარის დანარჩენი მონაკვეთები ამ ზონის ზევით და ქვევით სანაპირო კედელშია მოქცეული. მხოლოდ ნაწილობრივ. მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ მდინარე მტკვრის ამ მონაკვეთების ჰიდრავლიკური ენერგია გამოყენებულ იქნეს ორთაჭალაჰესის ტიპის ჰიდროელექტროსადგურების მეშვეობით და იმ პოზიტივის ჩამოსაყალიბებლად, რაც ორთაჭალაჰესის აგებით იქნა განპირობებული. შემუშავებული საპროექტო წინადადებით გამოყენებული იქნება მტკვრის მონაკვეთი 406,5-370 ნიშნულებს შორის, სიგრძით 9:5 კმ ჰესების კასკადით. შეტბორვის დონე შერჩეულია არსებული სანაპირო კედლების სიმაღლეთა და ჰესებთან უბნების განაშენიანების გათვალისწინებით.

ჰესები შედგება უწყვეტი კასკადური ელექტროსადგურებისგან, ორთაჭალაჰესის ანალოგიური კონსტრუქციებით (დასაშლელი კაშხლის ტიპი კალაპოტური ბურჯებით, ელექტრომექანიკური მოწყობილობებით ბურჯებში). შედგება 4 სადგურისგან, რომელთა მუშა დაწნევა 4-დან 6 მეტრამდეა, ხოლო საანგარიშო წყლის ხარჯი 240 კუბური მეტრი წამში.

თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამუშავებაში მტკვრის და მისი ზონის ენერგეტიკული თვალსაზრისით გააქტიურება შესაძლოა, პრიორიტეტულად წარმოჩნდეს. წინადადების რეალიზაცია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქალაქის ცენტრალური ნაწილის საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაში.

მოქმედმა ორთაჭალაჰესმა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში და მტკვრის უბანზე ჰესის ქვედა ბიეფში მნიშვნელოვანი პოზიტიური და უარყოფითი ცვლილებები გამოიწვია.

ჰესის ენერგეტიკული ნაგებობანი ვერტიკალური მოცულობითაა წარმოდგენილი. მის პირველ სართულში განთავსებულია ჰიდროელექტროსადგურის ელექტრომექანიკური მოწყობილობა, მეორე სართული წარმოდგენილია სამი არქიტექტურულ-კონსტრუქციული ნაგებობით: ტანწახნაგოვანი არაფრისმთქმელი პილასტრებით, დამაკავშირებელი გალერეებითა და საავტომობილო ხიდით, რომლებიც ამჟამად უფუნქციო ტექნიკურ-ფიზიკური ელემენტებია, რომლებმაც ჩაკეტეს ჰესის მოცულობითი სივრცე ჰიდროელექტროსადგურის ქვედა ბიეფის აღმოსავლეთის ლამაზი პეიზაჟი. ხიდი დღემდე წონადია დედაქალაქის ინტერესებისათვის. მისი სამსახურებრივი ვადა 100 წლითაა განსაზღვრული, მაგრამ მან განვლილი წლების მანძილზე ამ დროის მესამედიც კი სრულყოფილად ვერ იარსება. ძირითადად დაკარგა თავისი ფუნქცია, რაც გამოწვეულია გეგმარებისა და ხიდის მართკუთხა სანაპიროსთან შეუღლების კვანძში ქალაქის განვითარებით წარმოშობილი ახლებური სიტუაციის ცვლილებათა გაუთვალისწინებლობით.

აქ გარემოება გასული საუკუნის 70-იან წლებში კატეგორიულად შეიცვალა მეტეხის პლატოს ქვეშ გვირაბის გაყვანის შედეგად, გეგმარების პროცესში არ ყოფილა გათვალისწინებული ამ გვირაბთან დაკავშირებულ ნაგებობათა კონსტრუქციები. ამგვარად წარმოიშვა სიტუაცია, რომლის შედეგად დაირღვა ხიდის უშუალო შეუღლება მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან. და ქალაქში გამჭოლი სატრანზიტო მაგისტრალის სრული გახსნის პროცესი. რაც შეეხება თავად ხიდის კონსტრუქციას, იგი დაუსაბუთებელი ნაგებობაა, რომელსაც ძირითად ენერგონაგებობებთან კავშირი და მკვეთრად ჩამოყალიბებული სპეციფიკური არქიტექტორული სახე არა აქვთ. იგი წარმოადგენს კომბინირებულ ხიდისებურ ნაგებობას, რომელიც ამჟამად არაფერს არაფერთან არ აკავშირებს. მხოლოდ ადგილის ფიზიკური პრიმიტიული ელემენტია. წინა და უკანა ფასადები ღარიბია, ჩამორჩება თანამედროვეობას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სივრცის გახსნილობაზე და მიუღებელია დედაქალაქისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **საჭიროდ მიგვაჩნია შესრულდეს ორთაჭალაჰესის წყალზევითი ნაგებობების საფუძვლიანი რეკონსტრუქცია თანამედროვე არქიტექტურული კონცეფციის საფუძველზე, მისი მოცულობითი სივრცეების აღსადგენად და ქალაქის სატრანსპორტო პრობლემების უახლოესი მიდგომების გათვალისწინებით.**

ამგვარი რეკონსტრუქციის რეალიზაცია მოითხოვს ოთხი დამაკავშირებელი გალერიისა და სამი პილასტრის დემონტაჟს და მათ ნაცვლად ჰესის განივ ღერძზე ფართო ორსართულიანი ერთმალიანი, სანაპირო ბურჯებზე დაყრდნობილი ხიდის აგებას, რომლის სავალი ნაწილის დონე გაუტოლდება მარცხენა ნაპირზე დოლაბაურის აღმართის უმაღლესი ნიშნულის დონეს. ამასთანავე, ხიდის შეუღლება მდინარე მტკვრის მარჯვენა დაბალ სანაპიროსთან განხორციელდება სპეციალური პანდუსის მეშვეობით. არსებული საავტომობილო ხიდი უცვლელი რჩება, მისი დემონტაჟი არ იგულისხმება. ჩვენი ჩანაფიქრით იგი გამოყენებული უნდა იქნეს ღამისთევის კომფორტულ ორსართულიან საპარკინგო საწარმოდ.

დედაქალაქის ადმინისტრაციული ტერიტორიის გაფართოებით თბილისის ენერგეტიკული ბაზა გაიზარდა დერივაციული ტიპის ორი ჰიდროსადგურის ზაჰესისა (36.8 მგვტ) და თეთრიხევის (13 მგვტ) ჰესის ხარჯზე. სიმძლავრის ეს ნამატი ჯამში შეადგენს 49.8 მგვ-ს, ხოლო ამჟამად ქალაქის ფარგლებში მოქმედი ჰესების სიმძლავრე 67.8 მგვტ-ს გაუტოლდა. იმ შემთხვევაში, როცა მათ დაემატება წინამდებარე გამოკვლევით წარმოდგენილი კიდევ ორსაფეხურიანი ჰესების კასკადი, შედეგად **ქალაქს 25 კმ ფარგლებში ენერგეტიკული მიმართებით მოემსახურება 111.3 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები.**

აღნიშნული გარემოებით მდინარე მტკვრის ენერგეტიკული პოტენციალი არ ამოიწურება. არსებული სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევის თანახმად, დამუშავებულია პროექტი: მდინარე მტკვრისა და თბილისის წყალსაცავის („ზღვა“) დაკავშირება ერთმანეთთან ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურის (ჰმესი) მეშვეობით.

ობიექტის პირობების გათვალისწინებით ჰმსის აღნიშნულ პროექტში სათანადო კორექტივების შეტანის შედეგად, **მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ობიექტის ქვედა ბიეფად გამოყენებულ იქნეს მდინარე მტკვარზე ღრმაღელის რაიონში განთავსებული კალაპოტური ჰესის ზედა ბიეფი, ნაცვლად პროექტით გათვალისწინებული წყალსაცავისა. ჰმესის ძირითადი ენერგეტიკული პარამეტრები შეადგენენ: სიმძლავრე 100 მგვტ, ენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება — 250 მლნ კვტ-ს.**

ჰესის ჰიდროტექნიკური ნაგებობები თავისთავად გადაიქცევა ქალაქის არქიტექტურულ დომინანტად, რაიონის ლანდშაფტის განუყოფელ, მნიშვნელოვან ელემენტად, ამასთანავე, ენერგოსისტემა მიიღებს დარეგულირებულ ელექტროენერგიას.

აღნიშნულ გარემოებათა ერთობლიობით ქ. თბილისი იჩენს აღმოსავლეთ საქართველოს სამი უდიდესი მდინარის: მტკვრის, არაგვისა და იორის ჰიდრავლიკურად დამაკავშირებელ ფუნქციას, ამ მდინარეთა აუზებში განთავსებული ჟინვალის, სიონისა და თბილისის წყალსაცავების მონაწილეობით.

თვით მდინარე მტკვარი სრულად და რაციონალურადაა გამოყენებული მხოლოდ ქ. თბილისის ფარგლებში, მაშინ, როდესაც მდინარის სათანადო უბნები თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ტერიტორიაზე ამგვარი ეფექტურობით არ გამოირჩევა.

პროექტის ხორცშესხმის შედეგად თბილისში ხუთი ენერგეტიკული ობიექტის აგებით დამატებით მივიღებთ მდინარე მტკვრის სანაპიროების ოთხ თანამედროვე საავტომობილო ხიდს, რითაც განიტვირთება გზები ზაჰესიდან თამარ მეფის ხიდამდე, განხორციელდება შიდა სამდინარო ნაოსნობა ჰესებთან რაბების მოწყობით, მასთან შეთავსებული ახალი კონსტრუქციის თევზსავალით შეიქმნება ტურიზმის განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობები, თევზის გადაადგილების სპეციალური სამეთვალყურო გამჭვირვალე კამერებით.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ თბილისის ზოგიერთ ადმინისტრაციულ რაიონს და ახლად შემოერთებულ ტერიტორიებს წვდომა არა აქვთ დედაქალაქის არსებულ სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემასთან, ამგვარად შეზღუდულია მათი წყალმომარაგება, რაც მთავარია, ხასიათდება ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის ნაკლებობით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ახალი ობიექტის დაფინანსების უზრუნველყოფისთვის ჩამოყალიბდეს საერთაშორისო კონსორციუმი, სადაც წილობრივ დაფინანსებაში ჩაერთვებიან ბანკები, სხვადასხვა ორგანიზაციები, ინდივიდუალური პირები...

ანატოლი გეწაძე,
დამსახურებული ინჟინერი, ჰიდროტექნიკოსი

საკაშვილმა პოროშენკოს ოთხი მოთხოვნა წაუყენა

მიხეილ საკაშვილმა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ოთხი მოთხოვნა წაუყენა. მისი თქმით, უკრაინის პრეზიდენტმა ან ეს მოთხოვნები უნდა შეასრულოს, ან გადადგეს. ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის განმარტებით, პოროშენკომ კორუფციასთან რეალური ბრძოლა უნდა დაიწყოს, გაყიდოს თავისი ბიზნესი, ძირეულად განაახლოს უკრაინის პოლიტიკური სისტემა და კომუნალური ტარიფების ზრდაზე ერთი წლით მორატორიუმი დააწესოს.



„ეს ოთხი მარტივი და ყველა უკრაინელისთვის გასაგები ნაბიჯი გამოაჯანსაღებს ქვეყანას. თუ ხალხის ამ მოთხოვნებს უგულებელყოფთ, ხალხს უფლება ექნება თქვენი წასვლა მოითხოვოს. გადადგომა ქვეყნისა და თქვენი პირადი რეპუტაციის გადარჩენის საუკეთესო საშუალება შეიძლება გახდეს.

უკრაინა სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის ზღვარზეა. თუ პოლიტიკა არ შეიცვლება, არაკონტროლირებად სოციალურ აფეთქებას, უკრაინის სახელმწიფოებრიობის ჩამოშლასა და სუვერენიტეტის დაკარგვას მივიღებთ“, — განაცხადა საკაშვილმა.

პეტრე დიდი – ბაგრატიონთა შთამომავალი?

ვინ იყვნენ პირველი ქართველი დასავლეთევროპელები?

ჯუანშერ ვათაძე

პეტრე I და ლეოპოლდ I

როდესაც „დიდმა ელჩობამ“ დაასრულა თავისი მოღვაწეობა ჰოლანდიაში, მისი ძირითადი ნაწილი ელჩებთან ერთად რუსეთში დაბრუნდა, ხოლო პეტრე I ელჩობის ნაწილის თანხლებით ავსტრიაში გაემგზავრა, რათა საბოლოოდ გარკვეულიყო „ანტითურქული ლიგის“ ქმედითუნარიანობაში. ჯერ კიდევ ჰოლანდიაში ყოფნისას პეტრესთვის ნათელი გახდა, რომ ამ პოლიტიკურმა გაერთიანებამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები, რადგან მისი მონაწილე ევროპული ქვეყნების წინაშე ახალი პოლიტიკური პრობლემა წამოიჭრა: ესპანეთის მაშინდელი მეფის გარდაცვალებამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ქვეყნის ტახტს „ვაკანტურის“ ელფერი შესძინა იმის გამო, რომ „ლიგის“ მონაწილე სახელმწიფოები ყოველნაირად ცდილობდნენ, ესპანეთის ტახტზე მათ მიერ მხარდაჭერილი პრეტენდენტი აღზევებულიყო. ამიტომ პეტრე I-ის ვარაუდით, თურქეთის წინააღმდეგ გალაშქრების მოკავშირეობა მხოლოდ ავსტრიას შეეძლო ეკისრა, რომლის ჯარმა ახლო წარსულში პრინცის ევგენი სავოელის წინამძღოლობით „ბრწყინვალე პორტას“ რამდენიმე მძიმე დარტყმა მიაყენა. ამ გარემოებამ რუსეთისაკენ გამგზავრებული პეტრე აიძულა, საელჩოს ვოლონტერების თანხლებით ვენაში ჩასულიყო, სადაც მას იმპერატორმა ლეოპოლდ I-მა შესანიშნავი მიღება მოუწყო. მაგრამ პოლიტიკური მოლაპარაკებები ლეოპოლდთან და მის მინისტრებთან პეტრესათვის სასურველი შედეგით არ დასრულდა (ავსტრიას „ლიგის“ სხვა წევრებთან ერთად ესპანეთის სამეფო ტახტისადმი თავისი ამბიციური გეგმები ჰქონდა!). მიუხედავად ამისა, პეტრეს ვიზიტმა ავსტრიაში ხელი შეუწყო რუსეთის მეფის მიერ შემუშავებულ ახალ პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. მისი არსი შემდეგში მდგომარეობდა: რადგან რუსეთი მხოლოდ თავისი ძალებით თურქეთს ვერ გაუმკლავდებოდა, პეტრემ პოლიტიკური ანგარიშსწორების ორენტაცია ჩრდილოეთის ძლიერ ქვეყანაზე – შვედეთზე აიღო, რომლის მიმართ რუსეთს არა მხოლოდ ისტორიულ-ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა, არამედ ბალტიისპირეთიდან დასავლეთ ევროპისაკენ გზის გაკვალვის მიზანსწრაფვაც ამოძრავებდა.

რუსეთში დაბრუნებულმა პეტრე I-მა არაერთი ღრმაშინაარსიანი ღონისძიება განახორციელა, რომლებსაც ხალხისათვის უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, თუმცა იმთავითვე მის საკეთილდღეოდ იყვნენ მიმართული. 1699 წლის ბოლოსათვის პეტრემ მოასწრო რუსული ჯარის რეორგანიზაცია ნაჩქარევად განეხორციელებინა და მისი რაოდენობა ჩრდილოეთის ომის დაწყებამდე 40 ათასამდე გაეზარდა. მეფის სწრაფვა ჯარის რეორგანიზაცია ევროპულ ყაიდაზე ჩაეტარებინა, კერძოდ იმ ფაქტმაც დაადასტურა, რომ ჰოლანდიიდან დაბრუნებულ და საარტილერიო საქმეს დაუფლებულ ალექსანდრე ბაგრატიონს ინგლისელი გრაფ რომნის ანალოგიით რუსეთისათვის ახალი სამხედრო წოდება გენერალ-ფელდცოიხმაისტერისა მიანიჭა. იმავდროულად, 1699 წლის 20 დეკემბერს პეტრემ ხელი მოაწერა ბრძანებულებას „ახალი წლის დღესასწაულის შესახებ“, რომლითაც რუსეთში ფაქტობრივად ახალი წელთაღრიცხვა დამკვიდრდა, ანუ მიმდინარე 7208 წლის ნაცვლად ახალი 1699 წელი გამოცხადდა, რომელმაც სათავე დაუდო ამ ქვეყნის ახალ კალენდარს.

ჩრდილოეთის ომის დასაწყისი (1700 წელს ნარვის ციხე-სიმაგრის დალაშქვრა) რუსეთისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა, რის შედეგად შვედებმა კარლოს XII-ის მეთაურობით ხელთ იგდეს არა მხოლოდ მატერიალური აღჭურვილობა რუსეთის ჯარისა, არამედ რუსული გენერალიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილიც ალექსანდრე ბატონიშვილის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ პეტრე I-მა დიდი გულისტკივილით აღიქვა შექმნილი ვითარება, იგი პესიმისტურად არ განეწყო. დაშვებული შეცდომები მან მაქსიმალურად გაითვალისწინა და შვედებთან მომდევნო ბრძოლები წარმატებულად წარმართა, რაც 1709 წელს ბრწყინვალედ ჩატარებული პოლტავის ბრძოლით დაგვირგვინდა. ჩრდილოეთის ომი რუსეთის გამარჯვებით მხოლოდ 1721 წელს დამთავრდა, თუმცა წინა წლებში მიღებულმა სამხედრო გამოცდილებამ და „დიდი ელჩობის“ დროიდან მომდინარე დაკვირვებებმა დასავლურ ცხოვრებაზე ხელი შეუწყეს რუსეთში პეტრე I-ის რეფორმატორული მოღვაწეობის ენერგიულ გაგრძელებას. საკმარისია ითქვას, რომ პოლტავის ბრძოლამდე ერთი წლით ადრე პეტრე I-მა უმნიშვნელოვანესი გარდატეხა განახორციელა რუსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში: მან თვით რუსებისთვის არც თუ მარტივად აღსაქმელი ძველსლავური ანბანი და ასევე ძნელად გამოსათქმელი ძველსლავური ლექსიკა შეცვალა სამოქალაქო ანბანით, რომლის საფუძველზე აღმოცენდა თავისი შესაძლებლობებით უმდიდრესი რუსული სალიტერატურო ენა და მის საფუძველზე განვითარებული მომდევნო პერიოდის სანიმუშო რუსული ლიტერატურა. პეტრე I-მა ამას მიაღწია ძირითადად ჰოლანდიაში მცხოვრები ყოფილი მისი ხელქვეითის, ზემოთ მოხსენიებული იან ტესინგის დახმარებით, რომელსაც, როგორც უკვე ცნობილია, დაევალა მცირე სტამბის შექმნა ამსტერდამში სხვადასხვა სახის გემთსაშენებელი დანიშნულების ნახაზების დასაბეჭდად. სწორედ ამ სტამბაში იან ტესინგისა და მისი კოლეგის ილია კოპიევსკის მეთვალყურეობით 1708 წელს ამსტერდამში ჩამოსხმულ იქნა სრულიად ახალი რუსული საქალაქო ანბანის შრიფტი, რომელმაც მომდევნო საუკუნეებში შესაძლებელი გახადა რუსული ლიტერატურის აღმავლობის გზით განვითარება და მისი შესანიშნავი ნიმუშების გამოქვეყნება.

ამასთან ერთად მოკლედ შევეხებით კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც პეტრე I-ის პროდასავლურ ორიენტაციას ეხება და მისი რეფორმატორული მოღვაწეობის მეტყველ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საუბარია ცნობილ წესდებაზე, რომელიც რუსეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის ახალ წესს ითვალისწინებდა და რომელიც პეტრე I-მა თავის გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე დაამტკიცა. წესდებამ გააუქმა ტრადიციული წესი ტახტის მამიდან შვილზე გადაცემისა და შეცვალა იგი მეფის უფლებით ტახტი მისთვის გადაეცა, ვისაც ამის ღირსად ჩათვლიდა. აი, როგორ შეფასებას აძლევს ამ წესდებას ზოგიერთი ისტორიკოსი, იმოწმებს რა ამასთან დაკავშირებით პეტრეს ერთ-ერთი თანამოღვაწის გამონათქვამს: **„ამ ჭეშმარიტად რევოლუციურ ნაბიჯს მაშინდელი ადამიანებისათვის არანაკლებ უცნაური განკარგულება მოჰყვა მომავალი მემკვიდრისათვის ფიცის დადების შესახებ – პეტრემ თავისი სიცოცხლის ბოლომდე მისი დასახელება ვერ მოასწრო. ასეთი გაუგებარი სიახლენი ხალხის დრტვინვასა და ფიცის მიცემაზე უარსაც იწვევდა; საჭირო იყო იმაზე დაფიქრება, რომ საუკუნოვანი ტრადიციების დარღვევას თვით მმართველ წრეებში შეეძლო სახიფათო განხეთქილება გამოეწვია. პეტრეს წამყვანმა იდეოლოგმა თეოფანე პროკოპოვიჩმა რუსებისათვის ამ უჩვეულო აქტისადმი მიცემულ განმარტებაში აღნიშნა, რომ ხელმწიფეს მემკვიდრის შერჩევისას შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს „თვით შვილობასაც“ კი. თუმცა მანვე, უარყოფდა რა შეუზღუდავი მონარქიის მოწინააღმდეგეთა აზრს, იწინასწარმეტყველა ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხში გაურკვევლობის შესაძლებელი შედეგების შესახებ, როცა დიდებულები აირჩევენ „უილაჯოსა და გონებაშეზღუდულს, რომლის მმართველობისას თვითონ შეძლებენ მეფობასა და მფლობელობას“.**



ნარვის ბრძოლა

ამ კომენტარში, ჩვენი აზრით, არასწორადაა გაკეთებული აქცენტები, რომლებიც პეტრეს სიახლის ნამდვილ აზრს ამახინჯებენ, რასაც არ ამართლებს თ. პროკოპოვიჩის გამონათქვამზე მინიშნება. საქმე სწორედ ის გახლავთ, რომ „რუსეთისთვის უჩვეულო ეს აქტი“ გათვალისწინებული იყო „მმართველ წრეებში“ შესაძლო განხეთქილების აღმოსაფხვრელად, იმის მსგავსისა, რომლის მომსწრე 1682წ. თვით ჭაბუკი პეტრე იყო. ზემოთ დამოწმებულ კომენტარში წესდება რეტროსპექტულად მის მომდევნო „სასახლის გადატრიალებათა“ უკუპროექციის პრიზმით განიხილება და მათ გამომწვევ თითქმის მთავარ მიზეზადაა მიჩნეული, რაც, ჩვენი აზრით, სინამდვილეს არ შეესაბამება. თუ წესდების შინაარსის აზრს ჩავუკვირდებით ნათელი ხდება, რომ იგი გაანგარიშებული იყო ძალაუფლების კონსოლიდაციაზე მომავალი მონარქისა, რომელიც ტახტის მემკვიდრედ ყოველთვის შეირჩევა წინამავალი მეფის გადაწყვეტილებით „შვილობისა“ და ნათესაობრივ ცნებათაგან დამოუკიდებლად. რუსეთში ტახტის ერთი მეფიდან მეორისთვის გადაცემის ამ ახალი წესის მიზანშეწონილობის გადაწყვეტილებამდე პეტრე I, ჩვენი აზრით, მიიყვანა თავისმა 40-წლიანზე მეტი ხნის მეფობის გამოცდილებამ ბატონიშვილ ალექსი პეტრეს ძისათვის ტახტის მემკვიდრის უფლების ჩამორთმევის ჩათვლით, რადგან ის ამ დანიშნულებისათვის შეუფერებლად მიიჩნია. პეტრე I-თვის დამახასიათებელი თვისებების გათვალისწინებით იმის დაშვებაც შეიძლება, რომ იგი ასეთ უფლებას მეორე ვაჟიშვილსაც ჩამოართმევდა – თავის სეხნიას, რომელიც ძალიან უყვარდა და მეტსახელად „შიშეჩკას“ ეძახდა (იგი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა), თუ მასში იმ მონაცემებს ვერ აღმოაჩენდა, რაც საჭირო იყო დაწყებული რეფორმების გასაგრძელებლად და ქვეყნის პროგრესული გზით განვითარებისთვის. როგორი შეიძლება ყოფილიყო 1722 წ. წესდების შინაარსში ნაგულისხმევი ძირითადი მოსაზრებები?

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ასე შენდებოდა ქალაქი პეტერბურგი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №198-209

ᲠᲝᲓᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ?!

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲞᲧᲠᲝ ᲒᲠᲐᲙᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲝᲠᲐᲖᲔ (ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ), ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲐᲩᲜᲓᲐᲗ, ᲫᲕ.Წ.ᲐᲮ. ᲛᲔ-7 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘᲡ, ᲐᲡᲝ-ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐᲛ. ᲫᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲨᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲫᲔᲝᲚᲝ�გᲔᲑᲡ ᲘᲫᲐᲛᲓᲔᲪ ᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲡᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ, ᲐᲫᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲘᲙᲕᲚᲔᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲔᲫᲡᲞᲔᲠᲢᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲐᲝᲪᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲔᲫᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘ, ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝ�გᲘᲗ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲛᲓᲔ, ᲠᲝᲛ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ (Ე.Ი. ᲢᲐᲫᲐᲠᲘᲪ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲔᲚᲚᲔᲪ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ) ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲕᲔᲚᲘᲐ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲫᲕ.Წ.ᲐᲮ. ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲐᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ. ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲐᲚᲘᲙᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ, ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲛᲓᲔ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ, ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛ, ᲫᲕ. Წ. ᲐᲮ. ᲛᲔ-10 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ. ᲒᲠᲐᲙᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐᲛ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ ᲐᲛ ᲗᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲬᲝᲠᲔ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Ბ-Ნ ᲐᲚᲘᲙᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲗᲮᲝᲕᲐ ᲛᲐᲡ.

ᲙᲝᲠ. — ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲕᲘᲪᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗ�გᲕᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ �გᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ. �თᲣ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲨᲔᲮᲕᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲡ, ᲝᲓᲜᲐᲕ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲬᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ. ᲠᲐᲡ �გᲕᲔᲢᲧᲕᲘᲗ ᲐᲛᲐᲖᲔ?

Ა.Ც. — მე უფრო ის მეწყინებოდა, პირიქით რომ ყოფილიყო. გასაკვირი სულაც არაა, რომ ასეთი მეცნიერული სიახლე ყველასთვის იოლად მისაღები არაა, მითუმეტეს ენათმეცნიერებაში. დავიწყოთ თავიდან: ის პრობლემები, რომლის წინაშე დღეს ჩვენი ქვეყანა დგას, დიდწილად ქართული მეცნიერული აზრის უმოქმედობითაა გამოწვეული. დღეს ეს უკვე დასამალი აღარაა. გასაგებია, რომ გადაჭარბება და არამეცნიერული დასკვნები თავიდან უნდა ავირიდოთ, მაგრამ, მეორე მხრივ, მეცნიერების სახელით მოჰპარო ქვეყანას ქრისტემდელი ისტორია, სულ ცოტა, სახელმწიფო ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის ნიშნებს შეიცავს, და ეს საბჭოთა პერიოდიდან გრძელდება. მკითხველმა იცის ამის თაობაზე. შეიძლება, უარყო ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის მეოცე საუკუნის 50-იან წლებში გამოცემული ისტორიის სახელმძღვანელო, უარყო წინა პერიოდის არაერთი არაპირდაპირი არტეფაქტი, უარყო ალ. ცაგარელის, მ. წერეთლის, ალ. ხახანაშვილის, ნ. მარის, ა. სვანიძის, შ. ძიძიგურის და სხვათა დასკვნები, შეგიძლია, უარყო უახლესი თეორიული შედეგები, მაგრამ თვალი დახუჭო, არ შეიმჩნიო გრაკლიანის გორის წარწერა, მხოლოდ იმიტომ, რომ შენს გეგმებში არ ჯდება, წარმოუდგენელია.

რა გვიკვირს, მეცნიერებმა ხომ საყდრისის ოქროს საბადოს დანგრევას ხელი მოაწერეს, თუმცა შემდეგ შეცვალეს გადაწყვეტილება. ასეთია დღევანდელი ქართული სამეცნიერო ინტელიგენცია, არის და არც არის... როცა საყდრისის მუზეუმის აშენება იწყება, ეს ხომ იმასაც ნიშნავს, რომ ყველამ კარგად იცოდა, რამდენად ღირებული იყო იგი... თუ არა, რაღა საჭიროა მუზეუმი?! როცა ავსტრალიელ ენათმეცნიერთა ჯგუფმა ქართული ენის სიძველესთან დაკავშირებით დასკვნა დადო, განა ქართველმა მეცნიერებმა არ უარყვეს იგი?! წარმოგიდგენიათ, ეს ჩვენს სამეზობლოში რომ მომხდარიყო?! საკითხს ეხება და ვიტყვი, ებრაული კაბალა, რომლის ერთ-ერთი დარგია ჰემატრია (გემატრია), სახელმწიფოებრივ რანგშია აყვანილი და გლობალიზაციის იდეოლოგიურ საფუძვლებს ქმნის. მას 60-ზე მეტ ქვეყანაში აქვს ფილიალი, მათ შორის საქართველოში — ორი.

ჩვენთან, სამწუხაროდ, აკადემიური აზრი ყოველთვის ვერ პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს. ქართულ მეცნიერებაში თითქოს არაფერი შეცვლილა. არადა, სახელმწიფო ვალდებულია თანამედროვე ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, ახალ ალტერნატიულ მეცნიერულ სტრუქტურას დაუდოს დასაბამი, რომელიც თამამად გადაწყვეტს იმ ამოცანებს, რომელსაც, ჩვენი ტიპის სახელმწიფოში, ჯანსაღი მეცნიერული აზრი უნდა პასუხობდეს.

დავუბრუნდეთ თქვენს კითხვას. ჩემამდე ყველაზე თამამი პროგნოზი ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნოდა, იგი ვარაუდობდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. აღ. მეშვიდე საუკუნეში შეიძლებოდა ჩასახულიყო ალფავიტური წერის კულტურა. ეს დროის მიღმეთიდან უკიდურეს პერიოდად იყო მიჩნეული. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ანბანს სულაც ახ.წ.აღ. მეოთხე საუკუნის ძეგლად თვლიდა (იხ. „საქართველოს ისტორია“, ოთხტომეული, 2012.). მეთოდი, რომლითაც ეს კვლევა შესრულდა, ბიბლიის კვლევის მეთოდად ითვლება — ჰემატრია. საერთოდ, ჰემატრიის ძველ ქართულში არსებობა უკვე აღმოჩენაა. პარლამენტში შესულია მეცნიერთა ჯგუფის წერილი მეცნიერულ აღმოჩენაზე კანონის მიღების თაობაზე. სამწუხაროდ, ასეთი კანონი არ გვაქვს. თუ ეს მოხდა, გაჩნდება შანსი ოცდამეერთე საუკუნეში საქართველოში პირველი თეორიული აღმოჩენა დავაფიქსიროთ. საუბარია, მათემატიკურად დამტკიცებულ შედეგებზე და არა ამ საკითხის სპეციალისტები არა ვართო. მიჩნდება განცდა, აინშტაინი ქართველი რომ ყოფილიყო, ფარდობითობის თეორია მსოფლიოს არ ეცოდინებოდა. ეს მხოლოდ ანალოგიისთვის... აკადემიის პასუხი ისეთივეა, როგორიც მოსალოდნელი იყო. სულ ახლახან აკადემიკოსი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ავთ. არაბული და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ.ლორთქიფანიძე „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2017, 8.02, ნომ. 29 (8166) გამოქვეყნებულ წერილში: „გრაკლიანის გორა-ნამოსახლარის გამოუცნობი წარწერის თაობაზე“, იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ: „სრული უფლება გვაქვს ცივილიზაციის (წიგნიერი კულტურის) ათვლა სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი, საქართველოს შუაგულში, ძვ.წ. მეათე საუკუნით დავიწყოთ!..“ თუმცა სწორი პროგნოზის ავტორი არ გახსენებიათ. ეს სწორედ ის ხალხია, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ქართული ანბანის შექმნის თარიღად ახ.წ. მეხუთე საუკუნეს ასახელებდა და იუნესკოში იგივე პერიოდის დაფიქსირებას თანხმობა მისცა. საერთოდ, ამ თემაზე ბოლო ხანს ათასგვარი მეცნიერული სპეკულაციის მოწმე გავხდით, ზოგი ფარნავაზის დროს შექმნილად აცხადებს ანბანს, ზოგმა კიდევ ახ.წ.აღ. მეხუთე საუკუნიდან მოწერილი ახალი წერილი იპოვა... სამწუხაროდ, ასეთი „აღმოჩენები“ ორგანიზებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, არადა, პირდაპირი არტე-ფაქტი — გრაკლიანის წარწერა სახეზეა...



ᲙᲝᲠ. — ᲠᲝ�გᲝᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲙᲘᲑᲔᲠᲜᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ �გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ? ᲠᲐᲛ �გᲐᲜᲐᲠᲘᲠᲝᲑᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲔᲢᲐᲛᲝᲠᲤᲝᲖᲐ? ᲠᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ �გᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

Ა.Ც. — არავითარი მეტამორფოზა არ ყოფილა. მთელი ცხოვრება მათემატიკური მოდელირების მიმართულებაში ვმუშაობდი. ის, რაც აღმოვაჩინე, მოითხოვს მათემატიკური მოდელირების, მათემატიკური ლოგიკის, რიცხვითი ანალიზის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის, რიცხვითი სიმბოლიზმის ელემენტების გამოყენებას. როცა ქართული ჰემატრია იქმნებოდა, მეცნიერების დარგები დიფერენცირებული არც იყო, ასე რომ, ეს თანამედროვე გაგებით ენათმეცნიერება არცაა. 2005 წელს, როცა ამ მიმართულებით კვლევა დავიწყე, იმაში დარწმუნებული გახლდით, რომ ქვეყნის მომავალი მის წარსულზე დგას, თუ გინდა, ერს მომავალი მოუსპო, მისი წარსული უნდა დაავიწყო... წერილობითი წყაროების სიმწირის პირობებში ერთადერთი გზა არსებული ლექსიკური მარაგის ანალიზი იყო. ასეც მოხდა, მაგრამ თუ ისეთ სასწაულს წავაწყდებოდი, როგორიც ჰემატრიაა, ვერ წარმოვიდგენდი. მაშინ არც ჰემატრიაზე ვიცოდი რამე. თუ პიროვნულ ფაქტორს გვერდით გადავდებთ, გადაუჭარბებლად ვიტყვი: ქართული ჰემატრიის აღმოჩენა თამამად შეიძლება გვერდით დავუყენოთ ჟან ფრანსუა შამპოლეონის მიერ ეგვიპტური იეროგლიფებისა და გეორგ გროტეფენდის მიერ ლურსმული დამწერლობის გაშიფვრას. თქვენ წარმოიდგინეთ გაშიფვრისადმი მიდგომაში და მეთოდებშიც შეიმჩნევა მსგავსება. თუ შამპოლეონის შემდეგ მსოფლიომ აღმოაჩინა ძველი ეგვიპტე, გროტეფენდის შემდეგ — შუამდინარეთი. ქართული ჰემატრიის აღმოჩენით ჩვენ დიდი იბერია შეგვიძლია დავინახოთ, თან დავინახოთ მთელი თავისი მშვენიერებით. მე უკვე მაქვს ამის თაობაზე კვლევის შედეგები და მზადდება წიგნიც. დამერწმუნეთ, ქართული ჰემატრიით არა მხოლოდ საქართველომ, მთელმა კავკასიამ უნდა იამაყოს, რადგან მისი მეშვეობით იბერიულ-კავკასიური ცოდნის, დიდი ცივილიზაციის კვალზე გავედით. ეს დროც მალე დადგება.

ᲙᲝᲠ. — Ბ-ᲜᲝ ᲐᲚᲘᲙᲝ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ �გᲐᲜᲒᲛᲐᲠᲢᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲐ ᲰᲔᲛᲐᲢᲠᲘᲐ, ᲓᲐ ᲠᲝ�გᲝᲠ ᲛᲘᲮᲕᲔᲓᲘᲗ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲛᲓᲔ?

Ა.Ც. — ყველაფერი იოანე-ზოსიმეს ხელნაწერზე მუშაობით და მისი შიფრის, ჰემატრიის მიგნებით დაიწყო. ამაზე უკვე იცის ქართველმა საზოგადოებამ, მაგრამ ორიოდე სიტყვით მაინც შევახსენოთ. ის, რომ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი დაშიფრული იყო, ცხადი გახლდათ. ეს ამოცანა ხელნაწერის პოვნიდან თითქმის 130 წელი იპყრობდა მეცნიერთა ყურადღებას, სანამ ჩემ მიერ არ ამოიხსნა. როგორც წესი, ასეთი დაფარული ტექსტის შიფრი თვითონ ხელნაწერშია. ეს მიდგომა საზღვარგარეთ ცნობილი იყო, მაგრამ საქართველოში არავის მოსვლია აზრად, მისი იოანე-ზოსიმეს ხელნაწერზე გამოყენება. პირველი, რასაც მივაკვლიეთ, შიფრი იყო, ხელნაწერში მართლაც აღმოჩნდა ბიბლიის დაშიფვრის ერთ-ერთ მეთოდზე, ჰემატრიაზე (გემატრია) მითითება. მაშინ ამ მეთოდის თაობაზე საქართველოში ცოტა იცოდნენ, რადგან იგი ბიბლიის დაშიფვრის მეთოდად ითვლება და მიაჩნდათ, რომ ის მხოლოდ იმ ხალხებს უნდა ჰქონოდათ, რომლებმაც ბიბლია დაწერეს (ებრაელებს, ბერძნებს და ლათინებს), ქართველებს — არა. თავად ჰემატრია არის მეთოდი, რომლითაც ასონიშანი გადადის რიცხვად და ამ რიცხვეცალკეულ ლექსიკურ ფორმებზე, რომლებიც დასკვნების არაერთგვაროვნებას უშვებენ. ბოლო პერიოდის (2010-2017წ.) ნაშრომებში მე დავასაბუთე ქართული ჰემატრიის არსებობა, წარმოვაჩინე მეცნიერების ახალი დარგის ასტროენათმეცნიერების შექმნის აუცილებლობა, რომლის გარეშე ძველი ქართულის სრულყოფილი შესწავლა წარმოუდგენელია. ამ ნაშრომის შედეგებს უკვე წარმატებით იყენებენ ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც. არის უამრავი დადებითი გამოხმაურება, შედით ინტერნეტში და თქვენ თვითონ დარწმუნდებით. როცა მეთოდმა ქართული ანბანის შექმნის უკიდურეს მახლობელ თარიღად ძვ.წ.აღ. 1000 წელი მოგვცა, ეს ძალიან თამამ განცხადებად ჩაითვალა. სულ რამდენიმე წელში, გრაკლიანზე აღმოჩენილმა წარწერამ და მასზე ამერიკის საექსპერტო ბიუროს დასკვნამ, დაადასტურა ჩვენი დასკვნის მართებულობა. ძველი ქართულის კვლევაში ჰემატრია შეუცვლელი ხდება, როგორც კვლევის მეთოდოლოგია.

ᲙᲝᲠ. — ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲬᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ?

Ა.Ც. — ძირითადი პასუხი ასეთია, ჩვენ კუნიდან მოწერილი ახალი წერილი იპოვა... სამწუხაროდ, ასეთი „აღმოჩენები“ ორგანიზებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, არადა, პირდაპირი არტე-ფაქტი — გრაკლიანის წარწერა სახეზეა...



ბის ურთიერთმიმართებით კეთდება მთელ სიტყვაზე, მის სიმბოლურ მნიშვნელობაზე დასკვნები. ასე დეტალებში ნუღარ შევალთ, რადგან ამაზე ჩემი არაერთი პუბლიკაცია და წიგნი გამოქვეყნდა. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი მთლიანად ჰემატრიულად დაშიფრული ტექსტი აღმოჩნდა, ამონახსნი ალბათურად შემოწმდა და დამტკიცდა. აქ საკამათოც არაფერია, იმდენად ელემენტარული და ცხადია შედეგები. უფრო მეტიც, შემდეგმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ჰემატრია გამოყენებულია ძველი ქართულის უმთავრესი სარწმუნოებრივი და ასტრონომიული ლექსიკის დიდ უმრავლესობაში. სწორედ აქედან გავედით ანბანზეც. ითვლებოდა, რომ ანბანის ასოებს რიცხვმნიშვნელობები პირველად ბერძნებმა მიანიჭეს ძვ.წ.აღ. მეოთხე საუკუნეში, მათ დაშიფვრის ეს მეთოდი, ჰემატრიაც ამ საუკუნის შემდეგ აქვთ. ებრაელ მეცნიერთა აზრით, ცოდნა ჰემატრიაზე ძვ.წ.აღ. მეექვსე საუკუნეში მიიღეს მათ ქალდეაში. ეს ჰემატრიულმა ანალიზმაც დაგვიდასტურა... ქალდეას ქართველური წარმოშობა ამ ამოცანის ამოხსნაც აღმოჩნდა.

კორ. — რა გამოდის, ბიბლიის დაშიფვრის მეთოდით ძველი ქართულის უმთავრესი მსოფლმხედველობრივი ლექსიკაა დაშიფრული?

ა.ც. — რატომ გიკვირთ, განა ასე არ შეიქმნა კოპტური — ეგვიპტელი ქურუმების ენა, ძველი ივრითი — კაბალისტების ენა? ძველ ქართულს ბიბლიის დამწერი ხალხის ნიშანი აღმოაჩნდა, რატომ უნდა გააჩნდეს იმ ხალხის ენობრივ ძირს ჰემატრია (ბიბლიის დაშიფვრის მეთოდი), რომელთაც ბიბლია არ დაუწერიათ? როგორც ჩანს, სწორი იყო ნიკო მარი, რომელიც ვარაუდობდა, რომ ქართველური ხალხები ბიბლიის პირველ თავებს წერდნენ. უბრალოდ, ჩვენ კი არ ვვარაუდობთ, არამედ ზუსტად, მათემატიკურად დავამტკიცეთ: ძველი ქართული ქურუმთა ფარული ენაა!

ჰემატრია აღმოჩნდა მეთოდი, რომელმაც იბერიულ-კავკასიურ სივრცეში მიწათმოქმედების, მეტალურგიის და საყოფაცხოვრებო არაერთ დარგს ზიარებული ადამიანის განვითარება, საარსებო პრობლემებს გადაგებული არსებიდან, ცივილიზაციის დონემდე აამაღლა, და იმდროინდელი სურათი კომპლექსურად სრულყო — მისი აზროვნების და მსოფლმხედველობის უმაღლესი თვალსაწიერი წარმოაჩინა. ხომ საოცრება იყო, ხორბლის ჯიშების გამომყვანი, ლითონის მომპოვებელი და პირველი მჭედელი, ღვინის კულტურას დაუფლებული მევენახე, თიხაში ქვევრის პირველი გამომძერწავი, მისი უბრალო მომხმარებლიდან — ხელოვნების ნიმუშად გარდამქმნელი შემოქმედი, მრავალხმიანი სიმღერისა და უნიკალური ცეკვის შემქმნელი, ყოველივე ამის მსოფლმხედველობრივი გააზრების გარეშე დარჩენილიყო? ხალხური სიმღერა ხომ წარმართული მნათობ-ღვთაებებისადმი აღვლენილი საგალობელია, ცეკვა კი ამ ღვთაებათათვის მიძღვნილი რიტუალი, რომელიც თავის ნახაზში იმეორებს პლანეტათა მოძრაობებს. ლითონის წრთობა-ჭედვა კი სარწმუნოებრივი რიტუალში იჭერს ადგილს და მოდიფიკაციის შემდეგ მისი შეუცვლელი პროცედურაა, ღვინო და პური — მისი ატრიბუტებია. ქართველურ ხალხებს ეს ყოველივე ერთობლივად აქვთ. ამ დროს კი ისე წარმოგვიდგენდნენ, თითქოს, ამ საოცრების შემოქმედ-ადამიანს, ეს ყოველივე მისი მსოფლმხედველობრივი გააზრების გარეშე ჰქონდა. ხომ გესმით, ეს უმთავრესი საკითხია. ჰემატრიამ დიდი იბერიის მსოფლმხედველობის უძველესი კვალი გამოავლინა, რადგან ჩვენმა წინაპარმა იგი შეგნებულად, თან წინასწარგანჭვრეტით დაფარულად, დაგვიტოვა...

კორ. — დავბრუნდეთ ისევ ანბანთან, როგორ უკავშირდება ეს ყოველივე ანბანის შეესაქმეს?

ა.ც. — მეოცე საუკუნის დასაწყისში ფრედ ჰომელმა სემიტურ ანბანზე დაკვირვებით წამოაყენა თეზა, რომ მათი თანმიმდევრობა ქალდეურ ასტროლოგიურ წარმოდგენებთანაა კორელირებული (ჰომელ, 1904). მეცნიერებამ იმ დროს თითქმის ერთხმად უარყო ეს შეხედულება. თუ ქალდეური „ასტროლოგიური წარმოდგენები“ ანბანის შესაქმეს ახლავს, მაშინ იგი, პირველ რიგში, და სემიტურზე უფრო გამოკვეთილად, ქართულ ანბანში უნდა ჩანდეს; მითუმეტეს, თუ ქალდეველები ქართველური ხალხია. ეს ცხადია. თქვენ წარმოიდგინეთ ქართული ჰემატრია, სწორედ, ასტროლოგიურ ინფორმაციაზე დაყრდნობით იქმნებოდა. ძველი იბერიელები მნათობებს ღმერთებად მიიჩნევდნენ, რადენადაც შეეძლოთ ზომავდნენ მათ პარამეტრებს და მასზე აგებდნენ ამ მნათობისადმი მიძღვნილ საკულტო ლექსიკას. მეთოდი ამ ლექსიკის აგების, როგორც გითხარით, ჰემატრია იყო... რაზეც ვსაუბრობთ, ეს მეცნიერების ახალი დარგია და მას ასტრო-ენათმეცნიერება ჰქვია (ტერმინი ჩვენი შემოტანილია). ის, რასაც ძველ ქართულში ვნახულობთ, გაცილებით მეტია, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ხალხების უბრალო ჰემატრია. ეს ასტრონომიული ინფორმაციის სიტყვაში გადატანაა.

კორ. — იდეები კი ფანტასტიკურია, მაგრამ მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ გახდეს, იქნებ ერთი მაგალითი მაინც მოვიყვანოთ. ვაჩვენოთ, როგორ შეგეძლოთ დაგედგინათ ანბანის შექმნის პერიოდი...

ა.ც. — დიდი სიამოვნებით. მხოლოდ,

მინდა, მკითხველი თავიდანვე განვაწყო, რომ მცირეოდენი მეცნიერული ექსკურსი მოგვიწევს და ეს იქნებ, არცთუ ისე საინტერესოა. 72 — ებრაული ჰემატრიით, ღმერთ იეღოვას ფარული რიცხვია. ებრაელი მეცნიერები მიდიან დასკვნამდე, რომ ეს 72 პრეცესიიდანაა აღებული. პრეცესია დედამიწის მიმართ ცარგვალის 1 გრადუსით შემოტრიალების დროა, რასაც იგი 72 წელს ანდომებს. შუმერებმა ძვ. წ. აღ. მეორე ათასწლეულში იციან პრეცესიის თაობაზე, ამაზე მათი თიხის ფირფიტები გვიყვებიან. სიტყვაზე უნდა დამიჯეროთ, რომ ქართულ ჰემატრიაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად მიღებული რიცხვია ეს 72. იგი ფარნავაზის, ვარდფენობის (წარმართული დღესასწაული, პ. ინგოროყვა), გალენიშის (მიღმიერი კერპი, მეგრ. ა. ქობალია) და ა.შ.. ჰემატრიებში მიიღება.

დავსვათ კითხვა, როგორ იწერებოდა 72 ქართული ანბანით, იქამდე, სანამ ციფრები არ არსებობდა. ჩვენ ხომ ქრისტემდელ პერიოდზე ვსაუბრობთ. ამისთვის უნდა აეღოთ 70 — მას ქართულ ანბანში აღნიშნავს ასო-ნიშანი „ო“ და დავამატოთ 2, იგივე „ბ“, ვიღებთ: 70 + 2 = 72-ს, ანუ იმდროინდელი ასოითი ჩაწერით — „ობ“(ი). ობი (ვობი, ვები) — წარმართული სეტყვისა და ავდრის ღვთაებაა მთელ კავკასიაში. ივ. ჯავახიშვილი სწორად წერს, რომ საწყისი „ობი“-ა (ტ.1). ობი ჩანს კოლხეთში (ობი-შხა), სვანეთში (ვებიშხა) და ა.შ. აი, როგორ იქმნებოდა წარმართულ კერპთა სახელები. ე.ი. ჩვენმა წინაპარმა ჯერ გაზომა პრეცესიის დრო და დაასკვნა, რომ დედამიწის 1 გრადუსით შემოტრიალებას 72 წელი სჭირდებოდა, და შემდეგ მისი ანბანური ჩაწერა — ობი, სეტყვა-ავდრის ღვთაებად აქცია. აი, როგორ ჩადის ასტროინფორმაცია სიტყვაში, აი, რა არის ჩემგან შექმნილი მეცნიერების ახალი მიმართულების — ასტროენათმეცნიერების შესწავლის საგანი. მაგრამ თუ ანბანი არ გაქვს, ჰემატრიულ სიტყვას ხომ ვერ შექმნი? 72-ს ხომ ვერ ჩაწერ ასოებით? ე.ი. ანბანი არსებობს და, ასტრონომიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იგი კერპთა სახელწარმოქმნისას გამოიყენება. ესეც თქვენი ჰომელის „ასტროლოგიური წარმოდგენები“ და იგი ძველ ქართულ ლექსიკაში ჩანს. ეს რომ ერთეულოვანი შემთხვევა იყოს, არც განვაზოგადებდით, მაგრამ ძველ ქართულში მსგავს ინფორმაციას სისტემურად ვნახულობთ. კიდევ ერთხელ ვიკითხოთ: რადგან ასე, ანბანურად რიცხვების ჩაწერით ვქმნიდით კერპთა სახელებს, კერპებს ქრისტიანულ ეპოქაში ხომ არ შევქმნიდით? ე.ი. ანბანი წარმართობისას გვქონია, იგი ქრისტემდელი პერიოდის ძეგლია.

შემდეგ, ცარგვალის 72-წლიან ტრიალზე ცოდნა მიაქვთ ბერძნებს და „პრეცესიას“ არქმევენ, ამ დროს პრეცესია განყენებული სიტყვაა და არანაირი შეხება არა აქვს რეალურ ასტრონომიულ პროცესთან. ქართულში კი, ხომ ვნახეთ, მისი რიცხვის, წლების რაოდენობის ჩაწერაა. ე.ი. ეს იბერიიდან გატანილი ცოდნაა და მას თავიდან ობი ერქვა.

დეტალებში აღარ შევალ: როცა წარმართული კერპის სახელი ანბანის გამოყენებით იქმნება და ამ კერპის შემოტანის პერიოდი ცნობილია, ე.ი. იგივე პერიოდში ანბანი არსებობს. ასე განისაზღვრა ქართული ანბანის შესაქმედ, მინიმუმ, ძვ.წ.აღ. მე-10 საუკუნე, რომელზეც ჯერ კიდევ 2010 წელს ვწერდი. კვალი უფრო შორსაც მიდის...

კორ. — განა გრაკლიანის წარწერის გრაფიკა თანხვდება ასომთავრულს? როგორც ვიცი, ეს ასე არაა...

ა.ც. — დაველოდოთ სპეციალისტთა დასკვნას ამ საკითხზე. მთავარი არაა, როდის ჩამოყალიბდა ქართული ანბანის თანამედროვე გრაფიკა, ეს პროცესი შეიძლება დროში გაწელილიყო. თუნდაც ქრისტიანულ ეპოქაში ანბანის გრაფიკაში შეიძლება კორექტივები შეეტანათ. ამ თვალსაზრისით გრაფიკა არაა გადამწყვეტი, მთავარია, საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირდება ალფავიტური წერის კულტურა. ხომ ვნახეთ, ამას ჩვენს აკადემიაშიც კი ადასტურებენ. დაფარულ ანბანს ქურუმები საყოველთაოდ არც გამოფენდნენ, ქართული ანბანური ერთიანი სისტემა (რიგითი სათვალავი, რიცხვმნიშვნელობები და ა.შ.) გაცილებით ადრინდელია და ამ სისტემის ერთ-ერთი ვერსია იქნება გრაკლიანის გორაზეც მიკვლეული. თუ ანბანი ძვ. წ. აღ. მე-10 საუკუნეში არსებობს და ასომთავრულით შესრულებული წარწერები ახ.წ.აღ. მე-4 საუკუნემდე არ ჩანს, ე.ი. მთელი 14 საუკუნე ფარავდნენ, ხომ? დაფარვა შუმერში, ბაბილონში, როგორც ჩანს, მთელ იბერიულ სივრცეში, გავრცელებული მეთოდი იყო, ამაზე ლეონარდ ვულიდან (ცნობილი ინგლისელი არქეოლოგი, რომელმაც გათხარა ური) დაწყებული არაერთი მკვლევარი წერს.

ჰემატრიას განა მხოლოდ ისტორიოგრაფიასა და ენათმეცნიერებისთვის აქვს მნიშვნელობა, პერსპექტიული ჩანს მისი ისეთ სფეროებში გამოყენება, როგორიცაა: სამედიცინო, სამხედრო, გენეტიკური კვლევები და ა.შ.. მისი სარწმუნოებრივი მნიშვნელობა კი ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს. არაერთი გამოხმაურება საზღვარგარეთიდან მარწმუნებს, რომ ამ აღმოჩენის ღირებულება მათთვის უკვე ცნობილია. იმედი მინდა ვიქონიო, საქართველოშიც მალე გაჩნდება მის მიმართ ინტერესი. დამერწმუნეთ, იგი ქრისტემდელი ისტორიის ბევრ მომენტს ცვლის და ეს გარდაუვალია.

ესაუბრა
ამირან კილურაძე
აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი.

ყველა დღე გოგონებს არ ეკუთვნის?!

11 ოქტომბერი გოგონათა საერთაშორისო დღეა. ამ თარიღთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაუ-

ლის პრევენციის ცენტრის“ გოგონათა კლუბის გასვლითი შეხვედრა გაიმართა. ცენტრის დირექტორმა თათია ხოჭოლავამ კლუბის წევრებს ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ უმასპინძლა და საკუთარი გამოცდილება გაუზიარა. სასაუბრო თემები შეეხებოდა ცხოვრებისეული მიზნების ჩამოყალიბებას და ამ პროცესში საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გააზრებას. თათია ხოჭოლავამ კლუბის წევრებს უამბო იმ სირთულეების დაძლევის შესახებ, რომლების წინაშეც შესაძლოა, გოგონები ასაკიდან გამომდინარე აღმოჩნდნენ.

გასვლით შეხვედრას სახელმწიფო ზრუნვის სისტემის და სხვადასხვა ტრანზიტული ცენტრის ბენეფიციარი გოგონები, ასევე კლუბის მეგობრები დაესწრნენ. სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილ ფორმატზე გოგონებმა საკუთარი სურვილებიც დაწერეს.

გოგონათა საერთაშორისო დღე გაეროს გადაწყვეტილებით 2011 წლიდან აღინიშნება და მისი მიზანია გოგონათა უფლებების დაცვა/აღიარება, გოგონების განათლების მიღების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება იმ საკითხებზე, რომლებსაც გოგონები ყოველდღიურად აწყდებიან. 2017 წლის თემაა „პრობლემებზე გადაუდებელი რეაგირება და მდგრადობის შენარჩუნება.

რა პრივილეგიები აქვს ქართულ პროდუქციას?

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა საერთაშორისო ბიზნესფორუმ „იყიდე ქართულის“ ფარგლებში საქართველოში წარმოებული პროდუქტის შესახებ დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა. ნინო ჩიქოვანმა საქართველოში წარმოებული პროდუქციის პრივილეგიებზე და დაგეგმილ შეღავათებზე ისაუბრა. ასევე, დამსწრე ბიზნესექტორს განუმარტა, თუ რა კრიტერიუმებით ხდება პროდუქციის კონკრეტულ ქვეყანაში წარმოების დადასტურება ევროკავშირის მაგალითზე. მეწარმეთა მხრიდან დაინტერესება ძირითადად მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებს ეხებოდა, რომელიც საქართველოში წარმოებულ პროდუქტზე შეღავათების დაწესებას ითვალისწინებს.

დისკუსიისას მწარმოებლებმა პროფესიული განათლების პრობლემასაც გაუსვეს ხაზი. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა მათ პროფესიული განათლების დარგში პალატის ჩართულობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და დაგეგმილ პროექტებზე ესაუბრა. ასევე, განუმარტა დუალური განათლების სფეროში სავაჭრო პალატის ჩართულობის პრაქტიკა გერმანიის მაგალითზე.

ბიზნესფორუმის მიზანი მწარმოებლების, დისტრიბუტორებისა და სხვადასხვა კომპანიების ერთ სივრცეში თავმოყრა და აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა იყო.

ხალხი ყველაზე დიდი ძალაა და „ბოროტი მანქანებიც“ კი მის ნებას ემორჩილება

რატომ არ ვიყარე კენჭი თბილისის მერის არჩევნებში?!

ამ სამიოდე თვის წინათ სტატიაში **„თუ თბილისელების ნება იქნება, ხელისუფლების კანდიდატის დამარცხებაც შეიძლება“** ვწერდი, რომ სურვილი მქონდა, კენჭი მეყარა თბილისის მერის არჩევნებში. სტატიაში ხაზგასმით ვსაუბრობდი იმაზეც, თუ რამ მიმალებინა ეს გადაწყვეტილება და რა წინაპირობები იქნებოდა საჭირო გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად.

როგორც მოსალოდნელი იყო, სტატიას არაერთგვაროვანი გამოხმაურებები მოჰყვა: **ზოგში ჩემმა „ახირებამ“ ქარის წისქვილებთან მებრძოლი დონ-კიხოტის ასოციაცია გააჩინა, ზოგმა კი გადაჭარბებულ ამბიციად ჩამითვალა.**

ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲗᲐ მთავარი არგუმენტი უფულობა და საკუთარი გუნდის არარსებობა იყო. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სახელისუფლებო მონსტრთან (ფული, ადმინისტრაციული რესურსები) პაექრობას უბრალოდ აზრი არ ჰქონდა!

ფული რომ არ მქონდა და არც მისი შოვნის პერსპექტივა ჩანდა, ეს წინასწარვე ვიცოდი, მაგრამ სურვილი მქონდა, ჩამეტარებინა ერთგვარი ექსპერიმენტი — **რამდენად შესაძლებელია საქართველოში უფულოდ, ყოველგვარი ადმინისტრაციული რესურსების (ხელისუფლების) და ე.წ. პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის გარეშე საარჩევნო მარათონში მონაწილეობა?!**

ამ შემთხვევაში ჩემი კოზირი უნდა ყოფილიყო ის საარჩევნო პროგრამა და ქალაქის განვითარების სტრატეგია, რომლის შექმნაზე მუშაობა არჩევნების დანიშვნამდე გაცილებით ადრე დავიწყე.

იმის გათვალისწინებით, რომ არცერთ კანდიდატს მსგავსი საარჩევნო სტრატეგია (პროგრამა და დედაქალაქის განვითარების კონცეფცია) არ ექნებოდა, ვფიქრობდი, რაღაც სერიოზულ განაცხადს გავაკეთებდი (გამარჯვების ილუზია, რა თქმა უნდა, არც მქონდა), რაც ჩემი შემდგომი პოლიტიკური აქტიურობისთვის დამატებითი იმპულსი იქნებოდა.

რაც არ უნდა კარგი საარჩევნო პროგრამა გქონდეს, ამომრჩევლებში თუ ვერ „გაყიდე“, კაპიკია მისი ფასი! აქედან გამომდინარე, დავიწყე კვლევა: რა უნდა ამომრჩეველს, რისთვის არის იგი მზად, აქვს თუ არა სიახლის (სიტუაციის არსებითად შეცვლის) სურვილი?!

ვერ ვიტყვი, რომ კვლევის შედეგები კატასტროფულად მოულოდნელი იყო ჩემთვის — ჩემი დაკვირვებით, ამომრჩეველთა ერთ ნაწილს არც აინტერესებს, ვინ მოვა დედაქალაქის სათავეში, ხოლო, მეორე ნაწილი დარწმუნებულია, რომ მას **„არავინ არაფერს ეკითხება“ და თბილისის მერი იქნება ის, ვისაც ხელისუფლება ჩათვლის საჭიროდ!**

ანუ, როგორც დღეს ამბობენ ხოლმე, „ქართული ოცნების“ კანდიდატი **კახა კალაძე** უალტერნატივო კანდიდატურაა!

რჩება საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც მარტივ მამრავლებად დაშლილი **„ნაცმოძრაობის“** (სახელის შეცვლას აზრი არა აქვს) კანდიდატურების მხარდაჭერის ვალდებულებითაა დატვირთული, თუმცა, კარგად იციან, რომ ვერც ერთი კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს. სხვათაშორის, იგივე ბედი ელის ფორმალურად დამოუკიდებელ კანდიდატს **ალეკო ელისაშვილსაც!**

არ ჩამეთვლება გადაჭარბებაში თუ ვიტყვი, რომ ყველა კანდიდატი ერთი მასალისგანაა ჩამოქნილი, რადგან, **არცერთი პოლიტიკური პარტიის თუ წარდგენილი კანდიდატების მიღმა ქართული (საქართველოს) ინტერესები არ იკითხება! არც ერთ მათგანს არა აქვს სწორი (სახელმწიფოებრივი) ხედვა და სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელსაც ხშირად ეროვნულ იდეოლოგიასაც ვეძახით-ხოლმე.**

დიახ, ყველა მათგანი უცხოურ თესლზეა აღმოცენებული (უცხოეთიდან იკვებებიან) და მათი მიზანი თავსმოხვეული ინსტრუქციების ზედმიწევნით შესრულება და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (ნებისმიერ იერარქიაზე) მაქსიმალური კომფორტის (სარგებლის) მიღებაა!..

ასე იყო ადრე, ასეა დღეს და ასევე იქნება მომავალშიც, თუ საზოგადოების ინერტულობა საზოგადოების აქტიურობით არ შეიცვალა!

მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ დღეს ცარიელი ხელებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა შეიძლება, მაგრამ, ხელისუფლებაში სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანების მოსაყვანად მთავარი რესურსი ფული ნამდვილად არ არის — ეს რომ ასეა, 2012 წლის არჩევნებმაც დაადასტურა, როცა საზოგადოების აქტიურობამ ისეთი მონსტრიც კი მიაყენა კუთხეში, როგორიც ორგანიზაციულად და ფინანსურად უზრუნველყოფილი „ნაცმოძრაობა“ იყო.

ვფიქრობ, არც არსებული საარჩევნო გარემო და საარჩევნო ტექნოლოგიები იქნება გადაულახავი ბარიერი, თუ საზოგადოება საკუთარ უფლებებს გამოიყენებს და საკუთარ ხმებს დაიცავს (რაც შეეხება უფლებას, ამას ლანგრით არცერთი ხელისუფლება არ მოგვართმევს — ეს თავად უნდა მოვიპოვოთ)!

ამ შემთხვევაში ჩვენი ყველაზე დიდი მტერი საზოგადოებაში მყარად ჩაკირული ლოზუნგია: **„მაინც გააყალბებენ“, „მაინც არავინ არაფერს გვეკითხება“.**

ვსვამ ლოგიკურ კითხვას: რატომ ვერ გააყალბეს ტოტალურად არჩევნები 2012 წელს და რატომ არ ჩაიწერა ტრიუმფალური გამარჯვება „ნაცმოძრაობამ“?! **იმიტომ, რომ ხალხის განწყობა იმდენად პრინციპული და ერთსულოვანი იყო, უარესის შეეშინდათ!**

დასკვნა მარტივია: **ხალხი ყველაზე დიდი ძალაა და „ბოროტი მანქანებიც“ კი მის ნებას ემორჩილება!**

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით, ქართველი საზოგადოება პირში თითქმის ჩალაგამოვლებული დარჩა, **ხალხს მაინც ჰგონია, რომ „შავი ურჩხული“ („ნაცმოძრაობა“) ნეიტრალიზებულია და იგი ჰუმანურმა ხელისუფლებამ შეცვალა, რომელიც სულს არ გვხდის და „ნაციონალებივით“ არ გვექცევა — ქუჩაში ადამიანებს არ ხვრეტს, ციხეებში პატიმრებს ცოცხით არ უმასპინძლდება, ბიზნესს არ ატერორებს!**

ამჯერად უფრო შორს არ წავალ, თუმცა, ერთი სიტყვით ვიტყვი: დღევანდელი ანტიქართული ინიციატივებით (ახლად მიღებული კონსტიტუცია და სხვა ანტიქართული კანონები) სახელმწიფოს ისედაც მორყეულ ბალავარს საყრდენი საბოლოოდ ეცლება!

რატომ არ ვიყარე კენჭი თბილისის მერის არჩევნებში?!

პესიმისტი არ ვარ, მაგრამ არც ჰაერში დავფარფატებ — ყოველთვის რეალურად (ობიექტურად) ვაფასებ არსებულ რეალობას (საკუთარ შესაძლებლობებს) და საბოლოო გადაწყვეტილებებს ინტუიციის კარნახითა და ლოგიკაზე დაყრდნობით ვიღებ — ინტუიციამ და სიტუაციის ობიექტურმა შეფასებამ კი იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ საქართველოში არანაირ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არა აქვს!

ჯერ ერთი, ყველა დონის არჩევნები ფარსია და იგი მხოლოდ მმართველი ელიტის ნებას ემსახურება. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ სახელისუფლებო იერარქიის არცერთ კიბეზე განსხვავებულად (სახელმწიფოებრივად) მოაზროვნე ადამიანები არ მოვიდნენ!

სხვებისგან განსხვავებით, მე არ მიმაჩნია, რომ თუ ფული არ გაქვს, არჩევნებს ვერ მოიგებ. ზემოთ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: ფული რომ არ არის მთავარი პოლიტიკური მონსტრის შესაცვლელად, ეს 2012 წლის არჩევნებმაც დაადასტურა — ხალხმა შეცვალა მოფაშისტო რეჟიმი, მაგრამ იმის იქით ვერ წავიდა — მან სახელმწიფოს სადავეები იგივე პოლიტიკური ორიენტაციის ძალებს უკონტროლოდ ჩააბარა, რომლებიც ასევე ზედმიწევნით ასრულებენ გლობალისტური ძალების ინსტრუქციებს და არანაირი სურვილიც არა აქვთ, ცოტათი მაინც შეარბილონ ხელოვნურად დამძიმებული პროცესები.

მან (ხალხმა) ვერ გააცნობიერა, რომ ამ „სასტიკ“ ორთაბრძოლაში მხოლოდ დემოკრატიული ფასადის (ჭანჭიკის) როლი შეასრულა და ისეთივე მოტყუებული დარჩა, როგორც სხვა დროს რჩებოდახოლმე!

სამწუხაროდ, მისი უდიდებულესობა ხალხი, საკუთარ მისიას ვერც დღეს აცნობიერებს — იმას, რა სიბინძურე და თვალთმაქცობაც ჩვენ გარშემო ხდება, ობიექტური კანონზომიერებებით ხსნის და სურვილიც არა აქვს, რამე შეცვალოს!

როცა თბილისელ ამომრჩევლებს ვეკითხებოდი, რატომ უნდა გაიმარჯვოს **კახა კალაძემ,** რატომ არის იგი უალტერნატივო კანდიდატურა, პასუხები იმდენად უსუსური და აბსურდული იყო, აქ დასაწერადაც არ ღირს. ისინი ვერ აცნობიერებენ, რატომ არ უნდა იყოს ოფიციალური მილიონერი (პარტიულ კუთვნილებაზე არაფერს ვამბობ) დედაქალაქის მერი, რატომ იბრძვის იგი ამ სადავის ხელში ჩასაგდებად და რა შედეგებით შეიძლება დასრულდეს თბილისელების „არჩევანი“ უახლოეს მომავალში?!

სწორედ ამომრჩეველთა (სახელი პირობითია) ინერტულობამ, უსაფუძვლო ილუზიებმა და სხვა ფაქტორებმა მიმალებინეს გადაწყვეტილება — არ მეყარა კენჭი თბილისის მერის არჩევნებში.

დაკვირვებებმა დამარწმუნა იმაშიც, რომ საქართველოში არანაირ არჩევნებს აზრი არა აქვს, რადგან, არჩევნების მთავარი ფაქტორი — ამომრჩეველი ფორმალურად ქცეულ უფლებებს არა თუ ვერ იყენებს, არამედ საკუთარ ფუნქციასაც ვერ ხედავს ამ საარჩევნო მარათონში!

დამარწმუნა იმაშიც, რომ მალე ეს ფორმალიზმიც (საარჩევნო ციებ-ცხელება) არ იქნება საჭირო და ხალხს ფორმალურადაც კი არავინ არაფერს შეეკითხება...

დამარწმუნა იმაშიც, რომ თავსმოხვეული დემოკრატია ისეთივე ბლეფია, როგორიც „არჩევნებით“ მოსული ხელისუფლება, რადგან, დემოკრატია, რომელიც ყველაფრის უფლებას გაძლევს და არანაირ პასუხისმგებლობას არ გაკისრებს, სამყაროს კატასტროფისკენ მიაქანებს!

მაპატიეთ და გულისამრევია ის ლოზუნგები და ყალბი დაპირებები, რომელიც თბილისის მერობის კანდიდატებისგან იფრქვევა დედაქალაქის სივრცეში. ნუთუ არ დავიღალეთ ამდენი სიცრუითა და ყალბი დაპირებებით?! (ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენ ათეული წლებია, სწორედ ამ დაპირებებით ვიკვებებით და როცა აღმოვაჩენთ, რომ გაგვაცურეს, იხტიბარს მაინც არ ვიტეხთ — ვფიქრობ, ასე გაგრძელდება დაუსრულებლად)!

კითხვაზე: ვიღაცამ ხომ უნდა მართოს ქვეყანა? ამაზე მე ერთხელ სოციალურ ქსელში კონკრეტული პასუხი გავეცი: **ქვეყანა ვიღაცამ კი არა, პროფესიონალებმა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებმა უნდა მართონ და სწორედ საზოგადოება უნდა იყოს დაინტერესებული, ასეთი ადამიანები მოვიდნენ ხელისუფლებაში. დღეს ეს არც ერთ დონეზე არ იგრძნობა — ახლანდელი ადგილობრივი არჩევნებიც ამის დასტურია!**

ვიდრე ხალხს ამაზე მოთხოვნილება არ გაუჩნდება, არჩევნები ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ მოვლენად ჩაითვლება, რადგან, ასარჩევიც არავინაა, ხოლო, „არჩეულები“ ეშმაკს და მხოლოდ საკუთარ სტომაქს ემსახურებიან!

აქედან გამომდინარე, ხმამაღლა ვიტყვი: **არჩევნები არა... კვახი!**

ზაურ ნაჭყებია

> **ქვეყანა ვიღაცამ კი არა, პროფესიონალებმა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებმა უნდა მართონ და სწორედ საზოგადოება უნდა იყოს დაინტერესებული, ასეთი ადამიანები მოვიდნენ ხელისუფლებაში.**

P. S. ᲓᲐᲕᲣᲨᲕᲐᲗ, ჩემი პოლიტიკური მრწამსის ადამიანმა გაიმარჯვა არჩევნებში. რა უნდა გააკეთოს ამ პოლიტიკური სისტემის პირობებში? არც არაფერი — საკუთარ ტყავშიც რომ გაძვრეს, თუ გუნდი არ ეყოლება და სისტემა სიტუაციის არსებითად შეცვლის საშუალებას არ მისცემს, მისი ყველა მცდელობა მხოლოდ წყლის ნაყვა იქნება.

ამიტომაც ვამბობ, რომ დღეს საქართველოში არჩევნებში ასეთი პასიური მონაწილეობა ღალატის ტოლფასია — ჩვენ ჩვენი ინერტულობით უზნეობის დაკანონებაზე ვაწერთ ხელს!

ზ. ნ.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მილტონ ჰეიგი:

თასამდე ორი წლით ადრე პროგრესი აშკარაა

2017 წლის ნოემბრის ტესტებამდე 1 თვეა რჩება. „ბორჯღალოსნები“ სანაკრებო სეზონის ბოლოს ტრადიციულად 3 საერთაშორისო მატჩს გამართავენ.

პირველ შეხვედრაში საქართველოს ნაკრები კანადის წინააღმდეგ 11 ნოემბერს „დინამო არენაზე“ ითამაშებს. მატჩი 18 საათზე დაიწყება.

შემდეგ „ბორჯღალოსნები“ კარდიფისკენ აიღებენ გეზს, სადაც 18 ნოემბერს, ჩვენს ნაკრებს 75-ათასიან „ფრინსიფალითი სთედიუმზე“ (ყოფილი „მილენიუმი“) უელსი უმასპინძლებს. ბრძოლა საქართველოს დროით 18:30 საათზე დაიწყება.

სეზონს „ბორჯღალოსნები“ 25 ნოემბერს თბილისში აშშ-სთან ტესტით დაასრულებენ. შეხვედრა „მიხეილ მესხის“ სტადიონზე გაიმართება და კანადასთან მატჩის მსგავსად 18 საათზე დაიწყება.

ტელეტრანსლაცია

კარდიფიდან უელსი-საქართველოს მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს ტელეკომპანია „იმედი“ განახორციელებს, საშინაო მატჩების ტელერეპორტაჟებთან დაკავშირებით კი სიახლეა – 11 ნოემბერს „დინამოზე“ კანადის და 25 ნოემბერს „მესხზე“ აშშ-ის წინააღმდეგ „ბორჯღალოსანთა“ ტესტ-მატჩების პირდაპირ რეპორტაჟებს მათთვის, ვინც სტადიონზე მისვლას და საქართველოს ნაკრების მხარდაჭერას ტრიბუნებიდან ვერ მოახერხებს, პირველი ქართული სარაგბო არხი, ტელეკომპანია „რაგბი თივი“ განახორციელებს.

11 და 25 ნოემბრის ტესტ-მატჩების ბილეთების შესახებ ინფორმაციას უახლოეს მომავალში შეგატყობინებთ, ხოლო ვინც უელსში აპირებს „ბორჯღალოსანთა“ საქომაგოდ გამგზავრებას, მატჩის ბილეთების შეძენა აქ შეუძლიათ.

ნოემბრის ტესტ-მატჩებამდე ერთი თვით ადრე ბორჯღალოსნების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის, ივნისის ამერიკული ტურნესა და უელსი-საქართველოს მომავალ ტესტ-მატჩზე გვესაუბრება:

20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი „საქართველო-2017“

ტურნირის ჩატარება და ის, რომ მსოფლიო რაგბიმ ჩვენ მოგვანიჭა ეს პასუხისმგებლობა, საქართველოსთვის დიდი პატივი იყო. ბევრისგან, ვისგანაც არც მოველოდი, მსმენია, რომ ტურნირი ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. ამან ქვეყანაში რაგბს კიდევ ერთი დიდი ბიძგი მისცა. ჩვენ ამას რაგბიში კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდის მოყვანით და დაინტერესებით ვუპასუხებთ, რომლებიც ახალგაზრდულ პროგრამებში ჩაერთვებიან და ამ დიდი პირამიდის ნაწილი გახდებიან. ეს ჩვენთვის ისევ და ისევ დიდი პატივია და ის, რამაც ჩვენს ქვეყანაში რაგბის პროფილი კიდევ უფრო გაზარდა.

ჩვენთვის განსაკუთრებული დროა, ვინაიდან ახალგაზრდა მორაგბეების სახით საკმაოდ დიდი სიღრმეები გვექლევა პოზიციებზე, რომლებიც ეროვნული ნაკრებისთვის მწიფდებიან. უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ამ თაობიდან რამდენიმეს პირველ გუნდში ვიხილავთ. კმაყოფილები ვართ ახალგაზრდული ნაკრებებით, განსაკუთრებით კი 20 წლამდელებით, რომლებმაც წელს მსოფლიო ჩემპიონატის ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ რაგბი საქართველოში მეტად იზრდება და ახალ სიმაღლეებს იკავებს.

ჯურნე 2017, კანადა და აშშ

კვირის განმავლობაში იდეალურ ამინდში ვვარჯიშობდით და ვემზადებოდით – მზე, 25-26 გრადუსი... და უცებ მატჩის დღეს დაგვხვდა ქარი, სიცივე და წვიმა. ეს ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვან და სასარგებლო გამოცდად იქცა, ვინაიდან ყველანი ჩვენი კომფორტის ზონის გარეთ აღმოვჩნდით. არის რაღაცები, რისი გაკონტროლებაც შეგიძლია და რისიც – არა. ცხადია, ამინდს ვერ გაკონტროლებ. ეს ჩვენთვის კარგი მენტალური და ტექნიკური გამოცდა იყო, ვინაიდან უცებ მოგვიწია პირობებთან შეგუება, რამაც ჩვენი სათამაშო გეგმა შეცვალა. გეგმის მიხედვით ბურთის მეტად გამოყენება გვსურდა, თუმცა ამინდის გამო ამას ვერ გავაკეთებდით და მიხარია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენს მიზანს მივაღწიეთ.

კვირას კი ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა – კვლავ არასასურველი და რთული კლიმატური პირობები – 30-გრადუსიანი სიცხე და 80-პროცენტიანი ტენიანობა. ისევ და ისევ ეს იდეალური გამოცდა იყო ჩვენთვის, ვინაიდან 2019 წლის მსოფლიო თასზე სწორედ ასეთ ტენიანობაში მოგვიწევს თამაში. ამ პირობებში თამაშზე მიჩვევა და გადაწყობა ძალიან მნიშვნელოვანია და მოდით ვთქვათ, რომ, ალბათ, ოთხი წლის წინათ ამ მატჩს წავაგებდით. ამერიკასთან კარგად დავიწყეთ და ეს ანგარიშშიც ავსახეთ, შემდეგ თითქოს ჩავარდნა გვქონდა, მაგრამ ბოლოსკენ კონცენტრაცია მაინც მოვიკრიბეთ და თამაში გამოვასწორეთ. ჩემთვის ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ნამდვილად ვიზრდებით და ვაუმჯობესებთ თამაშს.

საქართველო არგენტინაში

არგენტინა ძალიან კარგი, ძლიერი, ღონიერი და სწრაფი, პირველი დონის გუნდია. თავიდანვე ვიცოდით, რომ ადვილი არაფერი იქნებოდა და რომ ჩვენი შესაძლებლობების ზღვარს გამოვცდიდით, რაც, რა თქმა უნდა, გვინდოდა და ჩვენს მიზანს წარმოადგენდა. ამ თამაშიდან ვისწავლეთ, რომ ძლიერ გუნდთან საწყის 20 წუთში, სუსტი დისციპლინის გამო, მეტოქისთვის ბევრი ჯარიმის მიცემა საკმაოდ რთულ პოზიციაში გვაყენებს. ამ დროს მათ 12 ქულა გააკეთეს. მეტოქეს ძალიან კარგი სტარტი გამოუვიდა, ხოლო ჩვენ ვცდილობდით მათ დაწევას, რაც ძალიან გაგვიჭირდა. პირველი ტაიმის შემდეგ არგენტინელები საკმაოდ დიდი სხვაობით იგებდნენ. ჩვენ არაფერი დაგვრჩენოდა გარდა იმისა, რომ დარჩენილ 40 წუთში ყველაფერი გაგვეკეთებინა, რათა თამაშში დავბრუნებულიყავით, დასაკარგი აღარაფერი გვქონდა. მეორე ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ! არგენტინის ძლიერ ნაკრებს, რომელიც პირველი ეშელონის გუნდია, ოთხი ლელო გავუტანეთ. ყოველივე ამის შემდეგ ზაფხულის სამმატჩიანი ტურნეს შეფასებისას ხვდები, რომ მსოფლიო თასამდე ორი წლით ადრე პროგრესი აშკარაა.

საქართველო: ნოემბერი, 2017

დიდი პატივია, კარდიფში უელსს ეთამაშო. დარწმუნებული ვარ, რომ იქნება განსაკუთრებული ატმოსფერო და სავსე სტადიონი. ველით, რომ კარგ თამაშს ვანახვებთ და მსოფლიოს ვაჩვენებთ – პირველი ეშელონის გუნდებთან თამაში ნამდვილად შეგვიძლია. ფაქტია, რომ ჩვენი რაგბის ისტორიაში არასდროს მოგვიგია უელსის სიძლიერის გუნდისთვის და ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ვიქნებით თუ არა მზად, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამას მივაღწიოთ.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი



დღეს იწყება კალათბურთში ევროპის საკლუბო თასების რეგულარული სეზონები ქალთა ევროლიგასა და ქალთა ევროპის თასზე. ფიბამ ოქტომბერში დაგეგმილი მატჩების განსასჯელად ქართველი მსაჯები და კომისრები ამგვარად გადაანაწილა:

ფიბა ისევ გვენდობა

მაკა კუპატაძე (მსაჯი).

ქალთა ევროპის თასი. 12 ოქტომბერი. მერსინი (თურქეთი): „მერსინი“ (თურქეთი) – „კოშიცე“ (სლოვაკეთი).

ქალთა ევროლიგა. 18 ოქტომბერი. პოლკოვიცე (პოლონეთი): „პოლკოვიცე“ (პოლონეთი) – „შოპრონი“ (უნგრეთი).

ქალთა ევროპის თასი. 25 ოქტომბერი. „პირეოსი“ (საბერძნეთი): „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) – ტტტ რიგა (ლატვია).

მერაბ რატიშვილი (კომისარი).

ქალთა ევროპის თასი. 12 ოქტომბერი. ანტაკია (თურქეთი): „ჰათაი“ (თურქეთი) – „პიეშტანსკე ჩაიკი“ (სლოვაკეთი).

ქალთა ევროლიგა. 25 ოქტომბერი. სტამბოლი (თურქეთი): „ფენერბაჰჩე“ (თურქეთი) – „ბლმა“ (საფრანგეთი).

ქალთა ევროპის თასი. 26 ოქტომბერი. სტამბოლი (თურქეთი): „ბეშიქთაში“ (თურქეთი) – „გორჟოვი“ (პოლონეთი).

რაც შეეხება ვაჟთა ასპარეზობას – ფიბა ევროპის თასს, აქ რეგულარული სეზონი 18 ოქტომბერს დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირზე იასპარეზებს თბილისის „დინამო“, რომელიც პირველ მატჩს 18 ოქტომბერს ბულგარეთში სოფიის „ლუკოილ აკადემიკის“ წინააღმდეგ გამართავს, ხოლო 25 ოქტომბერს თბილისში რუმინეთის „კლუჟს“ უმასპინძლებს. ამ კვირის ბოლოს ფიბა „დინამოს“ აღნიშნული მატჩების მსაჯებისა და კომისრების ვინაობას გამოაცხადებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

მეჯი რაღა ქნან?

არგენტინის ეროვნული ნაკრების ლიდერ ლიონელ მესის ეკვადორთან გადამწყვეტ მატჩში (3:1) შესრულებული ჰეთ-თრიქის შემდეგ შანსი ჰქონდა სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ეტაპების ყველა დროის საუკეთესო მეგოლე გამხდარიყო, თუმცა, ერთპიროვნული ლიდერობა მისმა ბარსელონელმა თანაგუნდელმა ლუის სუარესმა არ დაანება.

ურუგვაელმა ბოლო ტურში ბოლივიასთან (4:2) დუბლი მიითვალა და ახლა ორივენი 21-21 გოლით მეწინავეობენ.

მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მესიმ 7 გოლით გამოიჩინა თავი, 10 გოლი გაიტანა 2014 წლის მუნდიალის შესარჩევში, 2010-ში კი – 4. სუარესმა ამ შესარჩევში 5 გოლი მიითვალა, 2014-ში – 11, 2010-ში – 5.

რაც შეეხება სამხრეთ ამერიკაში ახლახან დასრულებული შესარჩევი ეტაპის ბომბარდირს, 10 გოლით საუკეთესო ურუგვაის ნაკრების მეორე ფორვარდი ედინსონ კავანი გახდა.

დავძენთ, რომ მუნდიალ-2018-ზე რუსეთში ბრაზილია, ურუგვაი, არგენტინა და კოლუმბია გაემგზავრებიან, ხოლო პერუ პლეი-ოფში ითამაშებს.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

არაცელი იმუქრება

არგენტინელი მოდელი არაცელ გონსალესი, რომელსაც ერთ დროს მისი თანამემამულე ფეხბურთელის ლისანდრო ლოპესის სარეცელშიც აქვს ნაბუღრავები, ბოლო დროს ჩრდილში მოექცა, რასაც თავად არაცელი, ცხადია, ვერ ჰგუობს და თავპატიჟდაუდებლად ცდილობს, საზოგადოებას თავისი პერსონა კვლავ შეახსენოს.

არაცელი ერთ დროს მის არგენტინაც კი გახლდათ და ლამაზმანებით გადაძეძგილ ასეთ ქვეყანაში რომ იპირველებ, ცხადია, ამბიციებიც გვარიანი გექნება და შეიძლება ისიც კი იფიქრო, რომ არათუ ამერიკის კონტინენტზე, მთელ მსოფლიოშიც კი არ დაიარება შენდარი შხვართი.

ამასწინათ სენიორიტა არაცელს ერთ-ერთ ტელეშოუში უთქვამს, თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, მე რეები შემიძლია და თუ მოვინდომე, საწმერთულს აქვე, პირდაპირ ეთერშიც კი შემოვიძარცვავო. მოენდომებინა მერე, ვინ უშლიდა? როგორც ჩანს, მისთვის არავის უსწავლებია – საქმე ლაპარაკის ნაცვლადო...

როსტომ რაჭველიშვილი

რთულია მწუხარების სიტყვებით სრულად გამოხატვა...

სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი

ფრიდონ თოდუა -

კარგი ექიმი, წარმატებული მეცნიერი, ღირსეული ხელმძღვანელი, საზოგადო მოღვაწე, ჩვენი ცენტრის რადიობიოლოგიის მიმართულების სამეცნიერო კონსულტანტი...

ფრიდონ თოდუა დაიბადა 1944 წლის 9 იანვარს ქალაქ ზუგდიდში. 1968 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1968-1990 წ.წ. მუშაობდა ა.ა. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში, სადაც გაიარა გზა რიგითი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობიდან მის მიერ შექმნილი კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელის პოზიციამდე.

1973 წელს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, 1984 წელს კი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1988 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება სპეციალობაში სხივური დიაგნოსტიკა და სხივური თერაპია. 2001 წლიდან არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად, 2004-2013 წ.წ. იკავებდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას, 2013 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

იყო 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 13 მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის, 3 მონოგრაფია გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ. სხვადასხვა გამოგონებაზე მიღებული აქვს 5 საავტორო და 15 საპატენტო მოწმობა. იყო 200-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე, 80-ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ფრიდონ თოდუა იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის, სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის პროფესორთა საბჭოს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მრჩეველთა საბჭოს, სამედიცინო ეთიკის და სხვა მრავალი საბჭოსა და კომისიის წევრი. აგრეთვე ევროპის, ამერიკისა და რიგი საერთაშორისო რადიოლოგიური და ქირურგიული ასოციაციების წევრი.

1999 წლიდან ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიაგნოსტიკური მედიცინის დეპარტამენტს, იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეზიდენტურის სასწავლო პროგრამის დირექტორი სამედიცინო რადიოლოგიის დარგში.

1991 წ. თბილისში დააარსა კლინიკო-დიაგნოსტიკური ცენტრი, რომელსაც შემდგომში კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტატუსი მიენიჭა და დღემდე მისი ხელმძღვანელობით უწყვეტად ინარჩუნებს წარმატებულ პოზიციას კლინიკურ-დიაგნოსტიკური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კუთხით.

დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით. იყო საბჭოთა კავშირის (1988) და საქართველოს (1996) სახელმწიფო პრემიების ლაურეატი მეცნიერების დარგში. დაჯილდოებულია საქართველოს ორი ღირსების ორდენით (1996/2006წ.წ.), ვახტანგ გორგასლის ორდენით (2009), პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენით (2010), საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით „საქართველოში მედიცინის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის“ (2014). იყო თბილისის საპატიო მოქალაქე (1998).

იყო მრავალი ასოციაციის, საზოგადოების, ფედერაციისა და სხვადასხვა საბჭოს წევრი, რამდენიმე ქართული და უცხოური სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

რთულია ფრიდონ თოდუას მრავალმხრივი მოღვაწეობის სრულად აღწერა... რთულია სიტყვებით სრულად გამოხატო მწუხარება... რთულია წარსულში საუბარი...

სსიპ ივანე ბერიტაშვილის
ექსპერიმენტული
ბიომედიცინის ცენტრი —

დირექტორი
დავით ნადარეიშვილი

ნოდარ, თამარ ემუხვარები კლინიკა „ჰელსიკორის“ თანამშრომლებთან ერთად ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს

ფრიდონ თოდუას

გარდაცვალებას და უღრმეს მადლობას უხდიან კლინიკის გულშემატკივრობისა და თანადგომისთვის.

ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, ელიზბარ ლომინაძე, პეტრე ბერაია, თენგიზ კალანდაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი

ფრიდონ თოდუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს, ყველას, ვინც ამ უკეთილშობილესი პიროვნების გარდაცვალებამ დაამწუხრა.

ვაჟა აბაკელია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უკეთილშობილესი პიროვნების, მსოფლიო სამედიცინო საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენლისა და საზოგადო მოღვაწის

ფრიდონ თოდუას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

აკაკი გიგინეიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ძვირფასი ბიძის

ფრიდონ თოდუას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სანთელი

ზაურ გურგენიძე

დღეს კიდევ ერთხელ დავობლდიო — ქვითინებდა ზაურ გურგენიძის გარდაცვალებით გულდათუთქული მისი ერთ-ერთი შვილობილი.

დიახ, არ ვაჭარბებ — ამ მოყვასისათვის შვების მოსაგვრელად დაბადებულმა ღირსეულმა ვაჟკაცმა მრავალ ახალგაზრდას გაუწია მამობის ტოლფასი თანადგომა და ცხოვრების ლაბირინთებისკენ მშობლიური ამაგით გაუკვალა გზა.

როგორც რაჭის ბუმბერაზი მთების ამაყ შვილს შეშვენის, სიტყვა იშვიათად გაექცეოდა და სათქმელს კეთილი საქმით ამბობდა. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება ის ფენომენი, ბატონი ზაურისა და ჯილდა (ჩიტო) კალაძის მიზიდულობის ცენტრად ქცეული ოჯახი რომ ჰქვია, სადაც ყველას მიუხაროდა — იქ ხომ მათ თვალსაჩინო წინაპართა მიერ დამკვიდრებული ტრადიციების შესაბამისად უმასპინძლდებოდნენ და თავს ისე აგრძნობინებდნენ, როგორც საკუთარ ჭერქვეშ.

საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგის ღვაწლმოსილ წარმომადგენელს, მოწოდებით აღმშენებელსა და მრავალი ობიექტის ამგებს, არც პასუხსაგები თანამდებობები დაჰკლებია და არც სამთავრობო ჯილდოები, მაგრამ მთავარი, რასაც გვიტოვებს, უდიდესი ტკივილი და ფუძეძლიერი შთამომავლობაა, რომელიც, დარწმუნებული ვართ, უკვდავყოფენ სამაგალითო მამულიშვილის შეუბღალავ სახელს.

ნათელი და სანთელი, ძვირფასო „დავიდოვიჩ“!

გია პლატონიშვილი

ამოღებულია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა

შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1991 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი შ.ქ. ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ბრაუნინგის სისტემის არარეგისტრირებული პისტოლეტი და 41 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

ხულიგანს 8 წელი მიუსაჯეს

თბილისის **საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მკვლელობის მცდელობისთვის და ცემისთვის ბრალდებული ნ.დ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლითა და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.**

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 20 მარტს, ღამის საათებში, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ნ.დ.-მ განზრახ მოკვლის მიზნით, გ.ქ.-ს დანით სხეულის მრავლობითი ჭრილობები მიაყენა, ხოლო დ.კ.-ს სცემა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად გ.ქ.-ს გადარჩენა მოხერხდა.

სამართალდამცველებმა ნ.დ. იმავე დღეს ქ.თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით (მკვლელობის მცდელობა), 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცემა) წარედგინა და აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნ.დ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ხსოვნა

კიდევ ერთი აფხაზეთის მკვიდრი მიებარა უფალს

ელგუჯა პაპასქუას გამოსათხოვარი

ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 59 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა საგზაო ინჟინერი, სოფლის მეურნეობის ტექნოლოგი, ბიზნესმენი და ქველმოქმედი **ელგუჯა დიმიტრის ძე პაპასქუა.**

ოჯახს, მეგობრებს, საზოგადოებას გამოაკლდა ღირსებით, სიკეთით, პატიოსნებით სავსე პიროვნება, ეროვნული ტრადიციების ერთგული, გულკეთილობით გამორჩეული, თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტი, გაუტეხელი, შეუდრეკელი, მუდამ პირდაპირი და განსაკუთრებულად მიზანსწრაფული.

ალალად იღვაწა, თავდაუზოგავად იშრომა, უსაზღვროდ ბევრი სიკეთე მისხალ-მირსხალ დაანაწილა – განურჩევლად ყველას შველოდა, უზომოდ ბევრის მოსწრება სურდა და ისე აღესრულა, ბოლო წუთს წაქცევისას ხელიც ვერავინ შეაშველა. უცხო მხარეში, გზად მიმავალი მარტო მიებარა უფალს.

უზომოდ უყვარდა თავისი მიწა-წყალი. სულით, ხორცით, ფიქრით, საქმით აფხაზეთის მკვიდრი იყო. იქაური დაჰქონდა ხიბლი და მზისქვეშეთში სხვა საოცნებო არც ეგულებოდა.

დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი საგზაო ინჟინრის სპეციალობით. სწავლობდა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. აფხაზეთის რკინიგზის დეპარტამენტში მუშაობდა მთავარ სპეციალისტად, იგი თავისი ეპოქის შვილი იყო და აღმასვლით მიიწევდა კომკავშირული, პარტიული კარიერის საფეხურებზე. ყველა ჩინი თუ თანამდებობა განსაკუთრებული აქტივობით, ნოვატორული ხედვებით, ორგანიზატორული უნარით, უზადო შესრულებით მოირგო და უფრო დიდ საქმეებთან შეჭიდებაც შეეძლო, თუმცა ქართულ-აფხაზური (ქართულ-რუსული) დაპირისპირების გამო, როგორც ათეულათასობით სხვა, იძულებული შეიქმნა მშობლიურ კუთხეს უქონელი განრიდებოდა.

მრავალგზის სცადა ელემენტარული ყოფითი პირობების თავიდან აწყობა, არ თაკილობდა არანაირ სამუშაოს, მაგრამ ვერაფერს გახდა. საქართველოში სარჩო-საბადებლის მოძიება შეუძლებელი შეიქმნა.. სხვაგან, ოჯახისგან შორს, მათი კეთილდღეობისთვის, ახალ საქმეს – ბიზნესს მოკიდა ხელი. გამოუვიდა, ნიჭმა, ენერგიამ, მოტივაციამ შედეგი გამოღო. წარმატებებს მიაღწია. იქ მეტი გააკეთა. შრომით და ოფლით მოპოვებულ სიკეთეს ყველას უნაწილებდა!

ემზადებოდა დასაბრუნებლად, ჩქარობდა. საგურამოში ეზო-სახლ-კარი შეიძინა, მამისეული სახლივით დიდი. იქაურობის ალტერნატივად თვლიდა და მთელი ჯან-ღონე შეალია მის კეთილმოწყობას.

არაფერი წაუღია ამქვეყნიდან. ყველაფერი აქ დატოვა. წავიდა შიშველი ხელებით. მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, მეგობრები, ნათესავები დარჩნენ მის გარეშე.

ელგუჯა (გუჯა) პაპასქუა მისი სიკეთის, უანგარობის, ხელუხვობის, გვერდში დგომის, ღირსებისა და საქმის გამო დიდხანს ემახსოვრება მისგან დიდად დავალებულ ადამიანებს. ნათელი დაუმკვიდროს უფალმა მის სულს.

ოჯახი, უახლოესი მეგობრები
და ნათესავები

ოჯახი და ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელგუჯა დიმიტრის ძე პაპასქუა

დაკრძალვა: კვირას, 15 ოქტომბერს. გამოსვენება 14 საათზე. პანაშვიდი: 13, 14 X.

მისამართი: საგურამო, ილიას უბანი, გურამიშვილის მარანთან ჩასახვევი მარცხნივ. დაკრძალვის დღეს თბილისიდან საგურამომდე და პროცესიის ბოლომდე მოგემსახურებათ ავტობუსი, რომელიც გავა ახმეტელის თეატრის გვერდით მდებარე ავტოსადგურიდან 12 საათზე.

ზაურ ნაჭყებია, ნოდარ ჭითანავა, მიხეილ ჯიბუტი, გური ოტობაია, ოთარ ხუფენია ოჯახებით თანაუგრძნობენ იური პაპასქუას ძმის

ელგუჯა პაპასქუას

გარდაცვალების გამო.

ვინა სთქვა თქვენი გარდაცვალება!..

გადმოსვენებულია 25 გმირი

საომარი მოქმედებების დროს უგზოუკვლოდ დაკარგულთა კიდევ 25-მა ოჯახმა შეიტყო ინფორმაცია, მათი ოჯახის წევრების მდგომარეობის შესახებ. როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე აღნიშნა, 1992-1993 წლებისა და 2008 წლის ომის შედეგად, 2400-ზე მეტი ადამიანია დღემდე, რომელთაც არ იციან, სად იმყოფება მათი უგზო-უკვლოდ დაკარგული ახლობელი.

„25 ნეშტი არის იდენტიფიცირებული და გადმოსვენებული. და ზოგადად პროცესი უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების და გადმოსვენების ძალიან კარგი ტემპით და პოზიტიურად მიდის. განსაკუთრებით მადლობა მინდა ვუთხრა საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტს იმ დახმარებისთვის, რასაც წევს. ასევე განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა აფხაზურ მხარეს, რომელიც მართლაც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პროცესი პოზიტიურად წარიმართოს და დინამიკურად. წინა წლების განმავლობაში მთლიანად მოხდა 101 პირის იდენტიფიცირება და გადაცემა. გადაცემულია მათი ნეშტები ოჯახებისთვის. მხოლოდ წელს 28 სამარხი იქნა გახსნილი და 91 ნეშთი იქნა მოძიებული, მათ შორის 25 უკვე იდენტიფიცირებულია. ამ 25-დან არის საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სახელები, არიან ადამიანები რომლებიც იცავდნენ სოხუმში უმაღლესი საბჭოს შენობას და რომლებიც იბრძოდნენ ჟიული შარტავასთან ერთად“, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

რაც შეეხება 25 ადამიანის ვინაობას, ისინი არიან:

1. **გაბესკირია გურამ ნიკოლოზის ძე** – მინისტრთა საბჭო/სოხუმის მერი;
2. **ალასანია მამია გიორგის ძე** – მინისტრთა საბჭო/სახელმწიფო საინფორმაციო-სადაზღვევო სამსახურის რეგიონული კურატორი;
3. **შენგელია არშაველი ფილიპეს ძე** – მინისტრთა საბჭო/ჟიული შარტავას მოადგილე და მინისტრთა საბჭოს სამდივნოს წევრი;
4. **გეგელაშვილი ვახტანგი ვახტანგის ძე** – მინისტრთა საბჭო/მინისტრთა საბჭოს მოადგილე;
5. **პაპუაშვილი გივი არჩილის ძე** – სოხუმის რკინიგზის სადგური/მებრძოლი;
6. **ბერუაშვილი ბადრი** – მინისტრთა საბჭო/ავღანელთა ბატალიონი (მოადგილე);
7. **მაჩაიძე გოჩა იოსების ძე** – მინისტრთა საბჭო/ავღანელთა ბატალიონი;
8. **ფარცვანია ალექსანდრე დავითის ძე** – მინისტრთა საბჭო/აფხაზეთის ვაჭრობის მინისტრის – რაულ ეშბას პირადი დაცვა;
9. **თათრიშვილი გოჩა გურამის ძე** – მინისტრთა საბჭო/ავღანელთა ბატალიონი;
10. **ლიპარტელიანი გენადი ვალიკოს ძე** – მებრძოლი;
11. **ჯორბენაძე თეიმურაზი ზურაბის ძე** – მინისტრთა საბჭო/ავღანელთა ბატალიონი;
12. **კვინიკაძე მერაბი კარლოს ძე** – მინისტრთა საბჭო/პირადი მცველების „იუპიტერის“ დანაყოფის განყოფილების უფროსი (ჟიული შარტავას დაცვა);
13. **სილაგაძე სერიოჟა პლატონის ძე** – სოხუმი/ახალი რაიონი/მებრძოლი;
14. **სოფრომაძე ბესიკი მამიას ძე** – მინისტრთა საბჭო/ავღანელთა ბატალიონი;
15. **გოჩიაშვილი დავითი მიხეილის ძე** – მინისტრთა საბჭო/ავღანელთა ბატალიონი;
16. **აბსანძე თენგიზი გივის ძე** – მინისტრთა საბჭო/ჟიული შარტავას დაცვის წევრი, დანაყოფი „იუპიტერი“;
17. **ფარცვანია ვახტანგი კონსტანტინეს ძე** – მინისტრთა საბჭო/აფხაზეთის ვაჭრობის მინისტრის – რაულ ეშბას პირადი დაცვა;
18. **გიგოლაშვილი ომარი ოთარის ძე** – მინისტრთა საბჭო/ავღანელთა ბატალიონი;
19. **ხახიაშვილი ნოდარი ვლადიმერის ძე** – მინისტრთა საბჭო/ავღანელთა ბატალიონი;
20. **ჭუჭულაშვილი ნუგზარი როლანდის ძე** – მინისტრთა საბჭო/ავღანელთა ბატალიონი;
21. **ნადირაძე შალვა მერაბის ძე** – მებრძოლი;
22. **მირზაშვილი კობა ნიკოლოზის ძე** – მინისტრთა საბჭო/ჟიული შარტავას დაცვა, დანაყოფ „იუპიტერის“ წევრი;
23. **შარტავა ელგუჯა გივის ძე** – მინისტრთა საბჭო/ჟიული შარტავას დაცვა, დანაყოფ „იუპიტერის“ წევრი;
24. **შალვაშვილი ხვიჩა იოსების ძე** – მინისტრთა საბჭო/ავღანელთა ბატალიონი
25. **მოსიძე მარია ვასილის ასული** – მშვიდობიანი მოქალაქე.

ბატონებო და ქალბატონებო!

არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო საგამომცემლო ფონდმა დაასრულა საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიაზე მუშაობა. ნაშრომმა დიდი მოწონება დაიმსახურა საზოგადოებაში. წიგნში შევიდა 1600-მდე ღვაწლმოსილი არქიტექტორის და მშენებლის ბიოგრაფიები, რაც წარმოადგენს სამშენებლო სფეროს მუშაკების ნაწილს.

ფონდი აგრძელებს მუშაობას მეორე წიგნის გამოცემისათვის. გთხოვთ მოგვაწოდოთ მასალები პიროვნებებზე არანაკლებ 25 წლის მუშაობის სტაჟით: მშენებლები არანაკლებ სამშენებლო კომპანიების ტექნიკური დირექტორისა (მენეჯერის). არქიტექტორები – არქიტექტურული კომპანიების ხელმძღვანელებისა, პრემირებული ობიექტების ავტორები და მშენებლები, ლაურეატები. მეცნიერ-პედაგოგები დოქტორის ხარისხით, პროფესორები.

მასალები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას: დაბადების თარიღს და ადგილს, უმაღლესი სასწავლებლის დასახელებას, დამთავრების წელს, ფაკულტეტს, სპეციალობას, შრომითი საქმიანობის განვლილ გზას წლების მიხედვით, განხორციელებულ ობიექტებს, საპატიო წოდებებს და ჯილდოებს, მნიშვნელოვან სამეცნიერო ნაშრომებს და გამოგონებებს.

მასალები უნდა იქნეს წარმოდგენილი ნაბეჭდი სახით (ვორდის ფაილი) და 1 ფოტოსურათი, პირადად დისკზე ჩაწერილი ან ელექტრონული ფოსტით.

მასალების წარმოდგენის ვადაა 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 14ბ. მე-2 სადარბაზო, მე-3 სართული, შ.პ.ს. „ევერიამშენ-პლიუსის“ ოფისი.

ელ. ფოსტა: arqiteqtori99@mail.ru

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა
საენციკლოპედიო საგამომცემლო ფონდი

მართლა უწოდა ტილერსონმა ტრამპს იდიოტი?!

აშშ-ის პირველმა პირმა სახელმწიფო მდივანს რექს ტილერსონს ინტელექტუალური კოეფიციენტის „IQ“ – ტესტის შედეგების შედარება შესთავაზა.

ტრამპმა ეს განცხადება „ფორბსთან“ ინტერვიუში მას შემდეგ გააკეთა, რაც ტილერსონმა „იდიოტი“ უწოდა. პრეზიდენტი ფიქრობს, რომ ეს ჩანაწერი შეთითხნილია, მაგრამ თუ მისი სინამდვილე დადასტურდა, მაშინ ქვეყნის ორ მთავარ პოლიტიკურ ფიგურას ინტელექტუალური პაექრობა მოუწევთ.

ამას წინათ ტელეკომპანია „NBC“-ზე გავიდა მასალა, სადაც სახელმწიფო მდივამა პენტაგონის მაღალჩინოსნებთან საუბრისას, დონალდ ტრამპს „იდიოტი“ უწოდა.

ჩრდილოეთკორეელმა ჰაკერებმა სეულისა და ვაშინგტონის საიდუმლო საომარი გეგმები მოიპარეს?

სამხრეთ კორეის პარლამენტარმა კი ჩეოლ-ხიმ, თავდაცვის სამინისტროს წყაროზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეელმა ჰაკერებმა გატეხეს სერვერები და 235 გიგაბაიტი საიდუმლო ინფორმაცია მოიპარეს ქვეყნის თავდაცვის სამინისტროდან.

მოპარული ინფორმაციის 80 % ჯერ იდენტიფიცირებული არ არის. თუმცა ცნობილია, რომ მათ შორისაა აშშ-ისა და სამხრეთ კორეის საიდუმლო, საომარი გეგმა, ფხენიანის თავდასხმის შემთხვევაში და კიმ ჩენ ინის მკვლელობის სქემა – აცხადებს „BBC“.

სამხრეთ კორეა რეგულარულად ადანაშაულებს ჩრდილოეთს კიბერდანაშაულში, თუმცა ოფიციალური ფხენიანი ამას, რა თქმა უნდა. მუდამ უარყოფს.

კომპანია „DOVE“ რასიზმში დაადანაშაულეს

კოსმეტიკური კომპანია „DOVE“, რომელმაც ახალი სარეკლამო რგოლი ატვირთა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“, რასიზში დაადანაშაულეს.

რეკლამის შინაარსი შემდეგნაირია. შავკანიანი ახალგაზრდა გოგონა „DOVE“-ის ფირმის საპნის მოხმარების შემდეგ თეთრკანიანი ხდება.

რა თქმა უნდა, მსგავსი შინაარსის მქონე რეკლამას სოციალურ ქსელში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა.

კოსმეტიკურ ფირმას ბოდიშის მოხდა მოუწია მომხმარებლებისა და გაღიზიანებული ადამიანების წინაშე.

ინვალიდის ეტლით მოსარგებლე ბელარუსი ლამაზმანი „მის მსოფლიო“ გახდა

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში პირველად ჩატარდა „მის მსოფლიოს“ სილამაზის კონკურსი ინვალიდის ეტლით მოსარგებლე ლამაზმანებს შორის.

მასში მონაწილეობას 22 ქვეყნის წარმომადგენელი მშვენიერი გოგონა იღებდა. დედოფლის გვირგვინი 23 წლის ბელარუსმა ალექსანდრა ჩიჩიკოვამ მოიპოვა.

ის 17 წლის ასაკში, შემთხვევით მშენებარე სახლის მესამე სართულიდან გადმოვარდა და ხერხემალი დაიზიანა, რის შემდეგაც ეტლს მიეჯაჭვა. თუმცა ეს ყოველივე მას ხელს არ უშლის, რომ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი იყოს, თეატრში ითამაშოს და სუპერმარკეტში ქოლ-ცენტრის ოპერატორად იმუშაოს.

ეს ფაქტი კიდევ ერთელ გვიმტკიცებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

უკანასკნელი წუთები

მთებში შვებულება დამთავრდა, სამმა ინგლისელმა და ერთმა შოტლანდიელმა საერთო ფულით დაიქირავეს ტაქსი და დაეშვნენ მთიდან. მანქანა მიხვეულ-მოხვეულ გზაზე სიჩქარეს მაინც-დამაინც არ ანელებდა. უცებ მძღოლმა იყვირა:

– მუხრუჭი მოიშალა! მანქანას ვერ ვაჩერებ! დავიღუპეთ!

ინგლისელებმა მდუმარედ სიგარები გააბოლეს,. შოტლანდიელმა კი შოფერს ყვირილი დაუწყო:

– მისმინე! თუ მანქანას ვერ აჩერებ, მრიცხველი მაინც გამორთე!

ვისი პატენტია?

საპატენტო ბიუროში ქალი შედის.

– ჩემი გამოგონება მინდა, რომ დავაპატენტო, – ამბობს ქალი.

– რა გამოგონებაა?

– აი, ეს.

ბიუროს მუშაკი რამდენიმე წუთს ათვალიერებს ქალის მოტანილ აპარატს.

– ეს თქვენი გამოგონებაა? – ეკითხება იგი ბოლოს ქალს.

– არა, ჩემი ქმრის გამოგონებაა.

– რას მელაპარაკებით?! – შესძახებს ბიუროს მუშაკი. – რატომ წელანვე არ მითხარით, რომ ედისონი თქვენი ქმარია.

რევოლვერი

ახალგაზრდა ამერიკელი ქალი იარაღის მაღაზიაში შევიდა და რევოლვერის ყიდვა მოინდომა.

– რა სისტემისა გნებავთ? – ჰკითხა გამყიდველმა.

– სულერთია, ოღონდ სროლისას არ მიმტყუნოს.

– თავის დასაცავად გჭირდებათ?

– არა! – შესძახა ქალმა. – დაცვით ადვოკატი დამიცავს!

ჩიკაგოური ზნე-ჩვეულება

ერთ-ერთმა ჩიკაგოური ფირმის შეფმა სამსახურში ახლახან მიღებულ ახალგაზრდა კაცს თავისთან უხმო.

– თქვენ ვერ გამოგვადექით, – უთხრა მან, – ხვალინდელი დღიდან უნდა გაგათავისუფლოთ.

– თუ ეგრეა, მაშინ დღესვე გამათავისუფლეთ. ხვალ დაკრძალვას უნდა დავესწრო.

– ვის დაკრძალვას?

– თქვენსას.

ესპანეთში

უცხოელმა კორესპონდენტმა გადაწყვიტა, ინტერვიუ აეღო ერთი უბრალო ესპანელისგან, რომელსაც ბარში გაეცნო.

– გამარჯობათ, მე ჟურნალისტი ვარ და ერთი კითხვით უნდა მოგმართოთ. მხარს უჭერთ თუ არა გენერალ ფრანკოს რეჟიმს?

– აქ ვერ გეტყვით, – წაილულლუღა ესპანელმა. – ჩემთან წავიდეთ.

ესპანელს ბინაში იგივე კითხვა გაუმეორა კორესპონდენტმა. ესპანელმა ეჭვიანად გაიხედ-გამოიხედა, კარი ჩაკეტა, ფანჯრებიც ყრუდ მიხურა და ჟურნალისტს წასჩურჩულა:

–დიახ...

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4798; ევრო - 2.9229;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2714;
100 რუბლი - 4.2761; თურქული ლირა - 0.6730;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4620;
1000 სომხური დრამი - 5.1706.

ამინდი 12 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7 დღე +21
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +17
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +8, დღე +22
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +20
თბილისი: ღამე +12, დღე +20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge